საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

მამუკა ახალაშვილი

X—XV სს. წარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე

63.3 (2 Г)
ა 986

ნაშრომში შესწავლილია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი — X—XV სს. წარწერები, რომლებიც მოთავსებულია სვანეთის ჰედური ხელოვნების ძეგლებზე და შინაარსით დაკავშირებულია სვანეთთან. წარწერათა ტექსტების შესწავლის შედეგად, სვანეთში შემონახული რამდენიმე ასეული ძეგლიდან, პირველადაა გამოყოფილი სვანეთთან დაკავშირებული ძეგლები. მათზე არსებული წარწერები წარმოადგენენ ძვირფას პირველწყაროს როგორც ამ მხარის, ისე საქართველოს წარსულის, ქართული დამწერლობისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხების შესასწავლად.

წიგნში გამოქვეყნებული მასალა საინტერესოა როგორც სპეციალისტ-ისტორიკოსების, ისე საქართველოს წარსულით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი ვ. სილოგავა

რეცენზენტები — ისტორიის მეცნ. კანდიდატები:
ნ. შოშიაშვილი
მ. ჩართოლანი

ა 0503000000 / M 607 (06)—87 247—87

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1987

წინასიტყვაობა

მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვან ძეგლებს შორის, რომლებიც საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ კუთხეში — სვანეთშია შემოინახული, თავისი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობით გამოირჩევა ჭედური ხელოვნების ძეგლები — საკულტო-მემორიალური საგნები: ხატები, სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ჯვრები, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ნივთები, ხელნაწერთა ყდები და სხვა.

დასახელებული ძეგლების დიდ ნაწილს ახლავს სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ისტორიული წარწერები. ეს წარწერები გვაწვდიან ცნობებს როგორც სვანეთის, ასევე საერთოდ საქართველოს წარსულის შესახებ.

ქრონოლოგიურად სვანეთის ჭედურ ძეგლებზე მოთავსებული წარწერები მოიცავს X—XVIII საუკუნეებს. წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილი და შესწავლილია ერთიანობის ხანის — X—XV სს. ჭედური წარწერების ის ჯგუფი, რომელიც თავისი შინაარსით უშუალოდ უკავშირდება სვანეთს.

წარწერების უდიდესი ნაწილი სვანეთშია დაცული (სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და სოფლების ეკლესიებში); რამდენიმე ძეგლი ინახება სხვადასხვა მუზეუმში, სადაც ისინი სვანეთიდან მოხვდა. ნაწილი ძეგლებისა ამჟამად დაკარგულია და მათი წარწერები გამოსაცემად მომზადდა არსებული პუბლიკაციების, ფოტოსურათებისა და მათ შესახებ შემონახული ცნობების მოშველიებით.

წიგნში გამოქვეყნებული სვანეთის ჭედური წარწერებიდან რამდენიმე აქამდე უცნობი იყო. ადრე ცნობილი წარწერების ტექსტები დაზუსტდა, გაიმართა და გასწორდა. დაზუსტდა ზოგიერთი მათგანის დათარიღება. წარწერები ქვეყნდება მონახაზებითა და ფოტოსურათებით, რაც მათი პალეოგრაფიული შესწავლის საშუალებასაც იძლევა.

სვანეთის X—XV სს. ჭედური წარწერების შესწავლა

სვანეთის ჭედური წარწერების შესწავლა დაკავშირებულია ხელოვნების იმ ძეგლების შესწავლასთან, რომლებზედაც იცინია მოთავსებული. დღეისათვის ეს ისტორია საუკუნენახევარზე მეტს მოიცავს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც სვანეთის სიძველეები შეისწავლა, იყო რუსეთის ხელისუფლების მოხელე პოლკოვნიკი ბართოლომეი, რომელმაც სვანეთში იმოგზაურა 1853 წელს[1]. თავისი ცხრადღიანი მოგზაურობის დროს, მან მოასწრო ზოგიერთი სიძველის და მათ შორის ჭედური ხელოვნების ძეგლების შესახებ ცნობების შეკრება. ბართოლომეიმ გადმოიღო ჭედური ხელოვნების ძეგლებიდან თოთხმეტი წარწერა[2]. მის მიერ პირველად გამოქვეყნებული წარწერებიდან ჩვენთვის საინტერესოა იფარის წმ. გიორგის ხატის წარწერა[3] (№ 8), რომელიც საკმაოდ დამახინჯებულად და არასწორადაა გადმოღებული — ოქრომჭედლის სახელს ნაცვლად „ასანისა“ ის კითხულობს „ოქროს“; გრიგოლ კოპასძის წარწერაში[4] (№ 48) იმ ადგილას, სადაც იკითხება „ჯევსა ბედხიერისა სუანეთისასა“, ასომთავრულ ტექსტშიც და მონახაზშიც გამოტოვებულია „სუანეთისასა“; კვირიკე ცხუმიანის წარწერა (№ 58) — გადმოღებულია ასევე არასწორად და ნაკლულად[5].

ბართოლომეიმ მის მიერ გადმოღებული წარწერები გამოაქვეყნა აკად. მ. ბროსეს შენიშვნებით.

მ. ბროსე 1847—1848 წლებში საქართველოში მოგზაურობის დროს სვანეთში არ ყოფილა, მაგრამ ინფორმატორების და კორესპონდენტების მიერ მიწოდებული სვანეთის X—XV სს. ხატების რამდენიმე წარწერის ტექსტი გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის ანგარიშში. მ. ბროსეს გამოცემული აქვს შემდეგი წარწერები. არშე ჯევის აზნაურთა წარწერა (№ 4), ვარდან ბაკურ ერისთავთ-ერისთავის ძის წარწერა (№ 7), ვახტანგ ლომინაისძის წარწერა (№ 15), გელდი მამასახლისის და იოვანე დეკანოზის (№ 19), დევნა თაკუერელიანის წარწერა (№ 54), ივანე ლორიანის და ივანე დოღვანის წარწერა (№ 61), შამანდავლა დადიანის წარწერა (№ 70)[6]. ამ წარწერების ერთი ნაწილი მ. ბროსემ გამოაქვეყნა ასლების მიხედვით, რომლებიც შესრულებული იყო მუსლოვის მიერ.

---

[1] Поездка в Вольную Сванетию полковника Бартоломея в 1853 году, ЗКОИРГО, кн. III, Тифлис, 1855, с. 148—237. табл. I—IV.

[2] აქედან X—XV სს. სულ 3 წარწერაა.

[3] Поездка, с. 226, № 2, табл. I, № 11.

[4] იქვე, с. 231, табл. II, № 25.

[5] იქვე, табл. II, № 24.

[6] M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique, 3 livr. SPb., 1851, pp. 47—56.

1860 წელს სვანეთის სიძველეები შეისწავლა და 1864 წელს ჰედური ხელოვნების ძეგლებზე მოთავსებული წარწერების მოხრდილი ჯგუფი გამოსცა ქართველმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ. სვანეთში სამეცნიერო მოგზაურობის შესახებ მან გამოაქვეყნა მოკლე, მაგრამ ძალზე ტევადი ანგარიში, სადაც გამოქვეყნებულია ეს ჰედური წარწერები. წარწერათა ერთი ნაწილისათვის ეს იყო პირველი პუბლიკაცია. მათ შორის X—XV სს. წარწერების ჯგუფში თავსდება შემდეგი ეპიგრაფიკული ძეგლები: ივანე დორობელისძის წარწერა (№ 9); სგანუნის წარწერა (№ 14); სასან ვარდახასძის წარწერა (№ 25); მაილელთა წარწერა (№ 27); ივანე ათარიანის წარწერა (№ 28); გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის კტიტორთა წარწერა (№ 29); ქველი ლომინაისძის წარწერა (№ 33); იოვანე ჯაბიანის წარწერა (№ 42); საყორიის ჯვრის წარწერა (№ 45); მარიამ ფულარიანის წარწერა (№ 49); სოფელ ლაილის წარწერა (№ 51); ცხუმარის ხევისა და ტაიბუღა მამასახლისის წარწერა (№ 57); სოფელ ცენას წარწერა (№ 59); კვრიკე ცხუმიანის წარწერა (№ 60); ჩიბურდან რატიანის და ანგურაგ პოლუხონიანის წარწერა (№ 63); სირმონ ქელბაქიანის წარწერა (№ 66), ბახთულ მარცხიანის წარწერა (№ 68); შამანდავლა დადიანის წარწერა (№ 70)[7]. სულ დ. ბაქრაძემ გადმოიწერა 120-მდე ჰედური წარწერა, თუმცა ყველა მათგანის სრულად და სწორად წაკითხვა მაშინ ვერ მოხერხდა.

სვანეთის ჰედური წარწერების ერთი ნაწილი, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მაღალი ხარისხის ფოტოსურათების დართვით (ფოტოგრაფი პავლოვი), გამოსცა პ. უვაროვამ. მან სვანეთში ექსპედიცია მოაწყო 1890 წელს და 1904 წ. გამოაქვეყნა ვრცელი ანგარიში, რომელშიც გაშუქებულია ჰედური წარწერების ნაწილი. წარწერათა ტექსტების წაკითხვა ამ პუბლიკაციაში ეკუთვნის ალ. ხახანაშვილს[8].

სვანეთის სიძველეების, ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტორიული კუთხეების სიძველეების, განსაკუთრებით ეპიგრაფიკული მასალის შესწავლაში ახალი, თვისობრივად მაღალი დონის ეტაპის დაწყება დაკავშირებულია აკად. ე. თაყაიშვილის სახელთან.

1910 წლის ზაფხულში ე. თაყაიშვილმა ლეჩხუმსა და სვანეთში მოაწყო კარგად ორგანიზებული სამეცნიერო ექსპედიცია, რომელშიც მიიწვია ფოტოგრაფი დიმიტრი ივანეს ძე ერმაკოვი, არქიტექტორი სიმონ გიორგის ძე კლდიაშვილი და თბილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებელი ივანე თევდორეს ძე ნიქარაძე. წარმოშობით სვანი. 1937 წელს, პარიზში მან ქართულ ენაზე გამოაქვეყნა ამ ექსპედიციის ვრცელი ანგარიში (440 გვ.)[9], რომელშიც წარმოდგენილია მის მიერ შესწავლილი ყველა ძეგლის აღწერილობა და თანმხლები წარწერების გაშიფრვა. ე. თაყაიშვილი თვითონვე წუხს იმის შესახებ, რომ ამ გამოცემას ვერ დაურთო ფოტოსურათები, თუმცა კი მთელი მასალა ჯერ კიდევ 1912 წელს მზად ჰქონია გამოსაცემად.[10].

ე. თაყაიშვილის მიერ პირველად აღწერილი და შესწავლილი ძეგლების ნაწილს, განსაკუთრებით ქვემო სვანეთიდან, ჩვენამდე არ მოუღწევია. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევებში ამ აღწერილობებს და დ. ერმაკოვის მიერ გადაღებულ ფოტოსურათებს, ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ; მითუმეტეს თუ

---

[7] Д. Бакрадзе, Сванетия, ЗКОИРГО, кн. VI, Тифлис, 1864, с. 35—124.

[8] МАК, 1904, Приложения, с. 168—169.

[9] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.

[10] იქვე, გვ. 5.

გავითვალისწინებთ, რომ ამ ძეგლების ნაწილი ქართული ოქრომჭედლობის ისტორიის კლასიკურ ხანას — X—XI სს. განეკუთვნება. კიდევ უფრო მეტად იზრდება მის მიერ ფიქსირებული მასალის მნიშვნელობა როდესაც საქმე ეხება ამ ძეგლებზე არსებულ ისტორიულ წარწერებს — უმნიშვნელოვანეს წერილობით წყაროს არა მარტო სვანეთის, არამედ, საერთოდ, საქართველოს ისტორიისათვის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლების და მათზე მოთავსებული წარწერების ფოტოფიქსაციის საქმეში XIX ს-ის ცნობილი ფოტოგრაფების ა. როინაშვილის და დ. ერმაკოვის ღვაწლი[11]. ჯერ ა. როინაშვილმა, ხოლო შემდეგ ორჯერ — 1867 და 1910 წელს დ. ერმაკოვმა, სვანეთში დაცულ სიძველეთა დიდძალი, მაღალხარისხოვანი ფოტონეგატივები და მათი ანაბეჭდები დაამზადეს. ეს მასალა არაერთი გამოკვლევის საფუძველი იყო შემდგომ ხანებში სვანეთის სიძველეთა შესწავლის დროს. ამის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს აკად. გ. ჩუბინაშვილი თავის ცნობილ ნაშრომში ქართული ოქრომჭედლობის შესახებ, რომლის მომზადებისას მისთვის ფასდაუდებელი დახმარება გაუწევია ა. როინაშვილისა და დ. ერმაკოვის ფოტოებს, განსაკუთრებით უკვე არარსებული და მხოლოდ მათ მიერ გადაღებული ფოტოების მიხედვით მოღწეული ჭედური ხელოვნების ძეგლთა შესწავლისათვის[12].

1931 წელს ზემო სვანეთში საქართველოს მუზეუმმა მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია სიძველეთა შესწავლის მიზნით. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ გ. ჩუბინაშვილი (ხელმძღვანელი), ს. ყაუხჩიშვილი და პ. ინგოროყვა[13]. ამ ექსპედიციის დროს გ. ჩუბინაშვილს, მისივე ცნობით, შეუმოწმებია, ე. თაყაიშვილის აღწერილობისა და დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოების მიხედვით, სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლების ბედგომარეობა. გარდა ამისა, ექსპედიციას ამ ძეგლების სამასი ახალი ფოტოსურათი მოუპოვებია[14]. შემდეგში, 1948 და 1954 წლებში გიორგი ჩუბინაშვილმა კიდევ მოიძია დამატებითი ცნობები ამ ძეგლების შესახებ[15]. მის მიერ მოპოვებული მასალა საფუძვლად დაედო მთელ რიგ ნაშრომებს ქართული ოქრომჭედლობის ისტორიიდან და, მათ შორის, ფუძემდებლურ ორტომეულს ქართული ჭედური ხელოვნების შესახებ[16]. ამ ნაშრომის ორივე ტომში, ფოტოსურათებთან ერთად, სვანეთის მრავალი ჭედური ისტორიული წარწერაა გამოქვეყნებული. აქვეა პირველად და უხვად წარმოდგენილი დ. ერმაკოვის მიერ თავის დროზე გადაღებული ძველი ფოტოსურათები, რომლებზედაც ეს ძეგლები ზოგჯერ უკეთეს მდგომარეობაშია ფიქსირებული, ხოლო ზოგჯერ მხოლოდ ფოტოსურათებითაა ჩვენამდე მოღწეული.

1948 წელს, გიორგი ჩუბინაშვილის სვანეთში ყოფნის დროს, მისი ინიციატივით მოხერხდა ჭედური ხელოვნების ძეგლთა ერთი ნაწილის, მათ შო-

---

11 ს. ბოლქვაძე, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, „ძეგლის მეგობარი", 15, 1968, გვ. 67—72; ბ. ტაბიძე, ალექსანდრე როინაშვილი, თბ., 1966; ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4, 6.

12 Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959, с. XI.

13 საქართველოს მუზეუმის 1931—32 წწ. მუშაობის ანგარიში, სმმ, ტ. VII, 1933, გვ. 344—345.

14 Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი გვ. VIII.

15 იქვე, გვ. XI.

16 Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства. Текст. Иллюс. Тбилиси, 1959.

რის, ისტორიული შინაარსის წარწერებიანი ხატების, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადატანა. დღესაც მესტიის მუზეუმის ჰედური ხელოვნების ძირითად ფონდს სწორედ ეს ხატები შეადგენენ. მათ შორისაა ხატები ფარჯანისა და მეფოველთა (№ 9), ასან გვაზავაძისძის (№ 10), თევდორე გვაზავაძისძის (№ 11) და სხვ.

1972 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელია მ. ჩართოლანი[17]. დღემდე ექსპედიციამ დიდი მუშაობა ჩაატარა სვანეთის სიძველეთა ფიქსაციისა და შესწავლისათვის[18]. მათ შორის, ჰედური ხელოვნების ძეგლებზე მოთავსებული წარწერების შესასწავლად. წინამდებარე კრებულიც ამ დროს შესრულებული სამუშაოს ერთი ნაწილია.

---

17 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1972 წლის სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში, სსმმ, ტ. XXXI-B, 1975, გვ. 165—184, ტაბ. I—XIV; სსმმ, ტ. XXXII-B, 1976, გვ. 252—288; მ ი ს ი ვ ე, ისტორიისა და კულტურის ძეგლები სვანეთში, კრებ. „სვანეთი", II, თბ., 1979, გვ. 101—111; სურ. 1—21.

18 1986 წელს გამოქვეყნდა სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის წევრების რ. ყენიას და ე. სილოგავას მიერ მომზადებული სვანეთის ჰედური ხელოვნების ძეგლების კატალოგის ერთი მონაკვეთი — „უშგული" — მასში აღწერილია და გამოქვეყნებულია უშგულის ეკლესიებში დაცული 130-ზე მეტი ჰედური ძეგლი და მათი წარწერები (რ. ყ ე ნ ი ა, ე. ს ი ლ ო გ ა ვ ა, უშგული, თბ., 1986).

წარწერების აღწერილობა და ტექსტები

1

[X—XI სს.]. სოფლის და აზნაურთა წარწერა

კარედი ხატი ღმრთისმშობლისა; ჰედური; ვერცხლი; ძოწქრული; ზომა: პ. უვაროვას და ე. თაყაიშვილის ცნობით — „10,5×12 ვერშოკი", რაც გ. ჩუბინაშვილის დაანგარიშებით უდრის 47×53 სმ. ხატი დაკარგულია და აღწერილობა მოგვყავს ე. თაყაიშვილისეული ცნობებისა და დ. ერმაკოვის მიერ 1910 წელს გადაღებული ფოტოს მიხედვით. ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია მაღალი რელიეფით გამოყვანილი გამოსახულება ღმრთისმშობლისა ტახტზე, რომელსაც მარცხენა მუხლზე ყრმა იესუ უზის. ტახტის ორივე მხარეს გამოსახულია მოციქულები, მთელი ტანით, პირდაპირ — მარცხნივ წმ. პეტრე და მარჯვნივ წმ. პავლე; მათ ზემოთ მფრინავი მთავარანგელოზები — მარცხნივ წმ. მიქაელ და მარჯვნივ წმ. გაბრიელ. ამ გამოსახულებებს ახლავს განმარტებითი წარწერები: ასომთავრული; რელიეფური (ასოთა რელიეფურობა მიღებულია ზემოდან ორმაგი კონტურის ჩაჭდევით) (სურ. 1):

1. ⁒ϴ ϑϮϬ წ(მიდა)ი მ(ი)ქ(აე)ლ. 2. ⁒ϴ ϘϤϬ წ(მიდა)ი გ(ა)ბ(რიე)ლ. 3. ⁒ϴ ᲣᲔᲫᲘ წ(მიდა)ი პ(ე)ტრე. 4. ⁒ϴᲣᲪᲮᲝᲮ წ(მიდა)ი პავლე.

კარებზე წარმოდგენილია წმ. მეომრების ჰედური გამოსახულებები: მარცხნივ წმ. გიორგი და მარჯვნივ — წმ. თევდორე. ისინი გამოსახული არიან მთელი ტანით, მარჯვენა ხელში ტანის მთელ სიმაღლეზე ვერტიკალურად ამართული შუბით, მარცხენა ხელში მრგვალი ფარით, წელზე შემორტყმული გრძელი ხმლით. მათ ახლავს განმარტებითი წარწერები: ასომთავრული, რელიეფური (სურ. 2, 3):

1. ⁒ϴ ⌒ Ϙ⁻ϴ წ(მიდა)ი გ(იორგ)ი. 2. ⁒ϴ ⌒ Ⴅ⁻ϴ წ(მიდა)ი თ(ევდორ)ე.

ხატის კ ი ტ ო რ უ ლ ი წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ცენტრალურ ნაწილში, ზემოაღწერილი კომპოზიციის თავზე და მას უჭირავს ცენტრალური ნაწილის მთელი სიგანე. წარწერის ტექსტი ორ ნაწილადაა გაყოფილი ღმრთისმშობლის თავის გამოსახულებით; ასომთავრული; 2 სტრიქონი; რელიეფური; განკვეთილობის ნიშანი: რელიეფური ორწერტილი (ზის ორ ადგილას); ჭარაგმის ნიშანი: რელიეფური მოკლე განივი ხაზი (სურ. 1).

ხატი ეკუთვნოდა ლაშხეთის თემის ს. ჩ უ კ უ ლ ი ს ეკლესიას. პირველად მისი არსებობა დაადასტურა და იგი ფოტოგრაფიულად გადაიღო დ. ერმაკოვმა 1867 წელს; 1904 წ. ასევე დაადასტურა ამ ხატის არსებობა პ. უვაროვამ. უკანასკნელად 1910 წელს ხატი აღწერა ე. თაყაიშვილმა და ფოტოგრაფიულად მეორედ გადაიღო დ. ერმაკოვმა. 1934 წელს ქუთაისის ე. წ. „ტორგსინში" ჩა-

ბარებულ ვერცხლეულში გ. ჩუბინაშვილმა იპოვა ამ ხატის ვერცხლის ჭედური ფირფიტები. გ. ჩუბინაშვილი თავისი კვლევის დროს ამ ხატის შესახებ ეყრდნობოდა ფოტოსურათებს, არსებულ აღწერილობებს და მის მიერ მოპოვებულ მასალებს. 1979 წელს რ. ყენიამ რესტავრაცია გაუკეთა ქუთაისის მუზეუმში დაცულ ფრაგმენტებს. ხატი, მცირედ დაზიანებული სახით ამჟამად დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

დათარიღება: პ. უვაროვა და ე. თაყაიშვილი ათარიღებენ XVI—XVII სს; გ. ჩუბინაშვილი X ს-ით.

გამოც.: 1. П. Уварова, МАК, X, с. 113, 164.
2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 115, № 7.
3. Г. Чубинашвили, 1959, илл. 45, с. 409—410.
4. რ. ყენია, ძმ, 51, გვ. 41—49.

წ(მიდა)ო ღ(მრ)თ(ი)ს(მ)შობელო[1], | შეიწყალე ესე სოფელი, || აზნ(აუ)რ(ნი)[2] დ(იდ)ი და | მც(ი)რე.

1 ღ̄ოსმობელი წრწ. 2 აზნაური ჩ.

2

[X—XI სს.]. ჯვრის მცხოვრებთა და აზნაურთა წარწერა

კარედი ხატი ღმრთისმშობლისა; ჭედური; ვერცხლი; ზომა: ცენტრალური ნაწილისა — 45×41 სმ; კარებისა, თითოეულის — 50×20 სმ. ხატი დაკარგულია და აღწერილობა მოგვყავს ე. თაყაიშვილისეული ცნობებისა დ. ერმაკოვის მიერ 1910 წელს გადაღებული ფოტოს მიხედვით. ხატის, თითქმის კვადრატული მოყვანილობის, ცენტრალური ნაწილში წარმოდგენილია მაღალი რელიეფით გამოყვანილი გამოსახულება ღმრთისმშობლისა ტახტზე, რომელსაც მუხლზე ყრმა იესუ უზის. ტახტის ორივე მხარეს წარმოდგენილია მოციქულები — მარცხნივ პავლე და მარჯვნივ პეტრე. მათ ზემოთ მფრინავი მთავარანგელოზები სფეროთი და ლაბარუმით — მარცხნივ მიქაელ, მარჯვნივ — გაბრიელ. აღწერილი კომპოზიციის გამოსახულებებს ახლავს განმარტებითი წარწერები; ასომთავრული; რელიეფური; ასოთა კიდურები სტილიზებულია ფოთლის მსგავსი მოტივით. ღმრთისმშობლის განმარტებითი წარწერა მოთავსებულია მისი თავის ზემოთ, აქ შექმნილი თაღის არეში, ნახევარწრიულად. გამოსახულებათა განმარტებითი წარწერები ასეთია (სურ. 4):

1. ⵆ̄ⵆⵁ ⵁ̄ⵗⵏⵔ : ⵜ̄ⵔ(ⵏ) ⵜ̄ⵗ : ⵙⵜ დ(ე)დ(ა)ა უ(ფლ)ისა ი(ეს)უ ქ(რისტ)ესი. 2. ჩ̄ⵗ ⵆ̄ⵜⵆ წ(მიდა)ი მ(ი)ქ(აე)ლ; 3. ჩ̄ⵗ ⵟ̄ⵟⵟⵆ ⵏ(მიდა)ი გ( )ბ(რიე)ლ. 4. ⵔ̄ⵚⵔⵆⵗ პავლე. 5. ⵔ̄ⵆⵚⵗ პეტრე.

კარებზე წარმოდგენილია წმ. მეომრების ჭედური გამოსახულება, მთელი ტანით, პირდაპირ, მარჯვენა ხელში გრძელი შუბით, რომლის თავი ჯვრით

არის დაბოლოებული, და მარცხენა ხელში ფარით, წელზე შემორტყმული გრძელი ხმლებით. მათი მხრების დონეზე მოთავსებულია განმარტებითი წარწერები: ასომთავრული; რელიეფური:

1. ⰒⰀ ⌒ ⰟⰀ წ(მიდა)ი გ(იორგ)ი. 2. ⰒⰀ ⌒ ⰝⰀ წ(მიდა)ი თ(ევდორ)ე.

ხატის ცენტრალურ ნაწილში ღმრთისმშობლის ფეხთსაგების ქვემოთ, ჩარჩომდე დარჩენილ ვიწრო ზოლზე, მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, ერთ სტრიქონად (სურ. 4):

ⰔⰃⰟⰀⰟⰊⰆⰅ ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე გ(ა)ბ(რიე)ლ.

გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით, ეს გაბრიელი ხატის შემქმნელი ოსტატი უნდა იყოს. რადგან მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით და კომპოზიციური აგებულებით ჩუკულის (იხ. № 1) და ჯახუნდერის (იხ. № 3) ღმრთისმშობლის კარედი ხატები ჩიხარეშის ხატის მსგავსია, სამივე ეს კარედი ერთი ოსტატის დამზადებული ჩანს. ამას მხარს უჭერს ჩიხარეშისა და ჩუკულის ხატების წარწერათა აბსოლუტური პალეოგრაფიული იდენტურობა.

კ ტ ი ტ ო რ უ ლ ი წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ცენტრალურ ნაწილში, მრს ქვემოთ, კომპოზიციის შემომზღუდავი გრეხილი ზოლის გარეთ, თავისუფლად დარჩენილ ვიწრო ზოლზე; ასომთავრული; რელიეფური; 1 სტრიქონი; განკვეთილობის ნიშანი: ერთწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: მოკლე, განივი, რელიეფური ხაზი (სურ. 4).

ხატი ეკუთვნოდა ლაშხეთის თემის ს. ჩ ი ხ ა რ ე შ ი ს ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიას. 1910 წელს ე. თაყაიშვილის მიერ უკანასკნელად მისი აღწერისა და დ. ერმაკოვის მიერ ფოტოს გადაღების შემდეგ, მის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია. აღმოჩენისა და ადგილზე ხშირადასხვა დროს დადასტურების შესახებ იგივე უნდა აღინიშნოს, რაც ჩუკულის ეკლესიის ღმრთისმშობლის კარედი ხატის შესახებ აღინიშნა (იხ. № 1). ამჟამად ხატი დაკარგულად ითვლება.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: პ. უვაროვა და ე. თაყაიშვილი ათარიღებენ XVI—XVII სს; გ. ჩუბინაშვილი — X ს-ით.

გ ა მ ო ც.: 1. П. Уварова. МАК, X, с. 113, 162, табл. XXV.
2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 121, № 1.
3. Г. Чубинашвили, 1959, текст, с. 411—412; илл. 47.

ⰔⰃ:ⰈⰀⰒⰔⰎ ⰅⰀⰓⰏⰔⰓⰔⰅⰔⰓ:ⰔⰔⰔⰅⰀⰔⰔⰔⰓⰔⰔⰔⰓ ⰔⰃⰓ:ⰔⰔⰔⰅⰔⰔⰔⰓⰔⰔⰔⰓ ⰔⰃⰓ:ⰔⰔⰔⰅⰔⰔⰔⰓⰔⰔⰔⰓ

წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშობელო, შ(ეიწყალ)ე ესე ჭევაჲ და ჭევ(ი)სა აზნაურნ)ი.

3

[X—XI სს.]. სოფელ ჯაჯუნდლის და აზნაურთა წარწერა

კრედი ხატი ღმრთისმშობლისა; ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 63×50 სმ. ხატი დაკარგულა და აღწერილობა მოგვყავს ე. თაყაიშვილისეული ცნობებისა და დ. ერმაკოვის მიერ 1910 წელს გადაღებული ფოტოს მიხედვით. ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია მაღალი რელიეფით გამოყვანილი გამოსახულება ღმრთისმშობლისა ტახტზე, რომელსაც მარცხენა მუხლზე ყრმა

იესუ უზის. ტახტის ორივე მხარეს გამოსახულია მოციქულები, მთელი ტანით, პირდაპირ — მარცხნივ წმ. პავლე და მარჯვნივ წმ. პეტრე. მათ ზემოთ მფრინავი მთავარანგელოზები — მარცხნივ წმ. მიქაელ და მარჯვნივ წმ. გაბრიელ. ამ გამოსახულებებს ახლავს განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერები:

1. ⁘Ⴟ Ⴜ̈Ⴜ ⁘(მიდა)ⴰ მ(არია)მ; 2. Ⴟ̈Ⴗ ⁘Ⴗ ⴰ(ეს)უ ქ(რისტ)ე; 3. ⁘Ⴟ Ⴝ̈ⴒⴢⴢⴗ ⁘(მიდა)ⴰ პ(ა)ვლე; 4. ⁘Ⴟ Ⴝ̈ⴔⴒⴗ ⁘(მიდა)ⴰ პ(ე)ტრე; 5. ⁘Ⴟ Ⴜ̈ⴕⴢ ⁘(მიდა)ⴰ მ(ი)ქ(აე)ლ; 6. ⁘Ⴟ Ⴗ̈Ⴗ ⁘(მიდა)ⴰ გ(ა)ბ(რიელ).

კარებზე წარმოდგენილია ჯვრის სახით განლაგებული კონცენტრული წრეები და მთავარანგელოზთა გამოსახულებები დამზადებული ერთი შტამპით.

ხატის კტიტორული წარწერა მოთავსებულია ცენტრალურ ნაწილში, ქვედა ჩარჩოს ზემოთ: ასომთავრული; 1 სტრიქონი; რელიეფური; განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს: ქარაგმის ნიშანი: განივი, რელიეფური ხაზი.

ხატი ეკუთვნოდა ლაშხეთის თემის ს. ჯ ა ხ უ ნ დ ე რ ი ს წმ. გიორგის ეკლესიას. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს XVI ს-ით ათარიღებს; გ. ჩუბინაშვილი — X ს-ით.

გ ა მ ო ც.: 1. П. Уварова, МАК, X, с. 113, 163;
2. ე. თაყაიშვილი, 1937. გვ. 108, № 2;
3. Г. Чубинашвили, 1959, с. 413, илл. 48—49.

⁘ⴒⴈⴔⴗⴝⴀⴀ ⴅⴗⴜⴒⴕⴢⴗⴅⴜⴒⴗⴔⴢⴗⴒⴈⴀⴀⴗⴅⴜⴒⴗⴔⴢⴗⴒⴈⴀⴀ

⁘ წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშობელო, ად(იდ)ე აზ̈ნაურნა, შ(ეიწყალ)ე ს(ო)ფ(ე)ლ ⁘ ⴰ) ჯ (უ ნ) დ (ე) ლ ⁘.

4

[X—XI სს.]. არშე ჯვრის აზნაურთა წარწერა

საკურთხეველისწინამდებარე ჯვარი; შემკული ვერცხლის ჭედური ფირფიტებით; ჯვრის ზომა: „სიმაღლე 5 არშინი და 2 ვერშოკი; განი 1 არშინი და 11 ვერშოკი“ (ე. თაყაიშვილი), გ. ჩუბინაშვილის დაანგარიშებით უნდა უდრიდეს 3,65 მ × 1,20 მ. აქედან პირველი ციფრი უეჭველად მცდარიაო, წერს იგი, ეს ცხადია, იქიდანაც, რომ პ. უვაროვას ცნობით, ჯვრის სიმაღლე 4 „არშინი“ ყოფილაო, ამიტომ, გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით ჯვრის ზომა იყო 2,99×1,20 მ. ამჟამად ჯვარი მთლიანად შემოძარცულია და აქ წარმოდგენილი აღწერილობა ემყარება ლიტერატურაში (პ. უვაროვა, ე. თაყაიშვილი) არსებულ ცნობებს და დ. ერმაკოვის მიერ 1910 წელს, ე. თაყაიშვილის მიერ ლეჩხუმ-სვანეთში მოწყობილი ექსპედიციის დროს გადაღებულ ფოტოს. ჯვრის ჭედური ფირფიტებიდან ჩვენი საკითხისათვის საინტერესოა მკლავების გადაკვეთის ადგილას დაკრული ფირფიტა არშე ჯვრის აზნაურთა კტიტორული წარწერით და ვერტიკალური მკლავის ქვედა ნაწილში დაკრული მოგრძო ფირფიტა ლენჩის წმ. გიორგის გამოსახულებით და ჩოლურის ჯვრის კტიტორული წარწერით.

ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას დაკრულია კვადრატის ფორმის ვერცხლის ჭედური ფირფიტა; დაახ. 25 × 25 სმ. ზომისა. ცენტრში გამოსახულია მაღალი რელიეფით გამოყვანილი ნახევარსფერო, მის ოთხივე მხარეს,

ჯვრის სახედ, განლაგებულია პატარა ზომის ნახევარსფეროები, რომლებიც გამოყენებულია მათში ჩასმული თითო-თითო თვლების ბუდეებად. ასევე ერთი ძვირფასი თვალია ჩასმული ცენტრალური ნახევარსფეროს („უმბოს“, როგორც ე. თაყაიშვილი უწოდებს) შუაში. კტიტორული წარწერის ტექსტი ფირფიტაზე განლაგებულია ნახევარსფეროთა გამოსახულებებისაგან თავისუფალ ადგილებში; ასომთავრული; 5 სტრიქონი; რელიეფური; ყურადღებას იქცევს წარწერის ასოების თავისებური მოხაზულობა: „ო“ გადმოცემულია შეუკრავი წრის და მარჯვნივ გაზიდული ჭუსლის სწორი ხაზის სახით; „ლ“ მუცელი ყოველთვის გახსნილია, რის გამოც იგი „ჰაეს“ მოხაზულობისაა; ამას გარდა, „ი“-ს ადგილას ყველგან დასმულია „ჲ“. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ჭარაგმის ნიშანი: განივი, რელიეფური ხაზი. ჯვარი აღმართული იყო ჩოლურის თემის ს. საყდარის წმ. გიორგის ეკლესიაში. იგი ჩაშენებული იყო კანკელში, მის მარცხენა მხარეს. ჯვრისაგან ამჟამად დარჩენილია მხოლოდ ხის სარჩული; როგორც აღინიშნა, იგი ვერცხლის ჭედური ფირფიტებისაგან მთლიანად შემოძარცულია და ამ ფირფიტების ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. (სურ. 5, 6).

დათარიღება ე. თაყაიშვილი ჯვარს XIV—XV სს. ათარიღებს; გ. ჩუბინაშვილი — X ს-ით.

გამოც.: 1. M. Brosset, Rapp. X. p. 50—51.
2. П. Уварова, МАК. X, с. 83—84, 165.
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 94—95, № 1 (2).
4. Г. Чубинашвили, 1959, илл. 38, с. 338—339 (თ-ს მიხ.).



წ(მიდა)ო გ(იორგ)ა, შ(ეიწყალ)ე არშე[1] | ჯევასა | აზნაურნა, | ყ(ოვე)ლ(ნ)ა შემომწყ|რველნა.

1 თ: შესაძლოა წაიკითხოთ „აშარეშე ჯევისა“; აშარეშე ჩ.

5

[X—XI სს.]. არშე ჯვრის და მიქაელის წარწერა

საკურთხეველისწინამდებარე ჯვარი; შემკული ვერცხლის ჭედური ფირფიტებით; ჯვრის ზუსტი ზომები უცნობია: ე. თაყაიშვილის ცნობით, იგი „უფრო პატარაა, ვიდრე მის გვერდით არსებული მეორე ჯვარი" (იხ. № 4). ამჟამად ჯვარი ჭედური ფირფიტებისაგან მთლიანად შემოძარცულია და წარმოდგენილი აღწერილობა ემყარება ლიტერატურაში (პ. უვაროვა, ე. თაყაიშვილი) არსებულ ცნობებს და დ. ერმაკოვის მიერ 1910 წელს გადაღებულ ფოტოს. ჭედური ფირფიტებიდან წარწერები გააჩნდა მხოლოდ ორს — ქვედა მკლავზე, ზემოდან მე-3 და მე-4 რიგში დაკრულ ფირფიტებს მხედარი წმ. თევდორეს გამოსახულებით. ე. თაყაიშვილის ცნობით, სხვებისაგან განსხვავებით, ეს ფირფიტები მოოქრული ყოფილა. ორივე ფირფიტა კომპოზიციურად ერთნაირია, მხოლოდ ოდნავ განსხვავდებიან ისინი შესრულების მიხედვით (მაგ. ქვედა ფირფიტაზე წმ. თევდორე მოსასხამითაა წარმოდგენილი, ხოლო ზედაზე — მის გარეშე). ფირფიტების ზომა დაახ. 20×25 სმ. უნდა ყოფილიყო. ორივე ფირფიტაზე, წმ. თევდორეს თავის ორივე მხარეს მოთავსებულია განმარტებითი წარწერა. ასომთავრული, რელიეფური, კიდურწაისრული:

ⴒ-ⴑ ⵔ ⵁⵂ ⴒ(მიდა)ი თ(ევდორ)ე.

ერთიდაიგივე ტექსტის კ ტ ი ტ ო რ უ ლ ი წ ა რ წ ე რ ა, მოთავსებულია ორივე ფირფიტის ქვედა ნაწილში, წმ. თევდორეს მიერ განგმირული გველაშაპის გამოსახულებასა და ფირფიტის კიდეს შორის დარჩენილ ფართობზე. წარწერა ზედა ფირფიტაზე ერთსტრიქონიანია, ხოლო ქვედაზე ორსტრიქონიანი; მიუხედავად ამისა, ქვედა ფირფიტის წარწერის ასოები რამდენადმე უფრო მოზრდილი ზომისაა. ასომთავრული; რელიეფური; კიდურწაისრული; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ჭარაგმის ნიშანი: განივი, რელიეფური, კიდურწაისრული ხაზი.

ჯვარი აღმართული იყო ჩოლურის თემის ს. ს ა ყ დ რ ი ს წმ. გიორგის ეკლესიაში. იგი ჩაშენებული იყო კანკელში, მის მარჯვენა მხარეს. ამჟამად ჯვრისაგან დარჩენილია მხოლოდ ხის სარჩული; ჭედური ფირფიტებისაგან იგი მთლიანად შემოძარცულია და ამ ფირფიტების ადგილსამყოფელი უცნობია. (სურ. 7, 8).

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: კონკრეტულ თარიღს ე. თაყაიშვილი არ აღნიშნავს, მაგრამ მისი აზრით, ეს ჯვარი „უფრო დაბალი ხელობისაა", ვიდრე მის მიერ XIV—XV სს. დათარიღებული მეორე ჯვარი ამავე ს. საყდრის ეკლესიიდან (იხ. № 4). გ. ჩუბინაშვილი ათარიღებს X ს-ით.

გ ა მ ო ც.: 1. П. Уварова, МАК, X, с. 83—84, 165.

2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 97—98, № 2 (თ).

3. Г. Чубинашвили, 1959, илл. 39, 40, 42, с. 341, (თ-ს მიხ.).

1. წარწერა ზედა ფირფიტაზე:



ⴒ(მიდა)ო თ(ევდორ)ე[1], ⵛ(ეიწყ=ლ)ე ა რ შ ე[2], მ (ი) ქ (ა ე) ლ.

2. წარწერა ქვედა ფირფიტაზე:

წ(მიდა)ო თ(ევდორ)ე[1] შ(ეიწყალ ე ა რ შ ე[2], მ (ი) ქ (ა ე) ლ.

---

1 თეოდორე თ. 2 აშარეშე(ლი) თ, აშარეშე[ლი] ჩ.

6

[XI ს.]. ჯინჯიხ და ვარდან ერისთავების წარწერა

ხატი ღმრთისმშობლისა; ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 68×35 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში მაღალი რელიეფით წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი ღმრთისმშობელი ყრმით; ყრმა მაცხოვარი მარჯვენა ხელით აკურთხებს, ხოლო მარცხენაში გრაგნილი უჭირავს. ღმრთისმშობლის ნიმბი შემკული ყოფილა 6 თვლით, ხოლო 2 თვალი ჩასმული იყო ნიმბს გარეთ (ამჟამად თვლები დაკარგულია). გამოსახულებას ახლავს განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური, კიდურწაისრული წარწერა:



დ(ე)დ(ა)ა ღ(მრთისა)ი.

ხატის ჩარჩო შემკული ყოფილა ხვეული ფოთლოვანი ორნამენტით, გვერდით ჩარჩოებზე მთავარანგელოზების, ზედა მარცხენა კუთხეში წმ. იოვანეს გამოსახულებებით. ქვედა ჩარჩოზე ოთხკუთხა მედალიონებში წარმოდგენილია წელზევითი გამოსახულებანი წმ. თევდორესი (ახლა დაკარგულია), წმ. გიორგისა და წმ. დემეტრესი. ჩარჩოს ჭედურობა დაზიანებულია და მოღწეულია ფრაგმენტულად.

ქვედა ჩარჩოზე წმინდა მეომრების გამოსახულებებს შორის მოთავსებულია ორმაგი რელიეფით გამოყვანილი ასომთავრული წარწერა; კიდურწაისრული; 2 სტრიქონი; ასოების სიმაღლე; 2,2—1 სმ. სტრიქონების დასაწყისები ჭედურობის დაზიანების გამო უმნიშვნელოდ ნაკლულია; ქარაგმის ნიშანი განივი, კიდურწაისრული ხაზი; განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს (სურ. 9).

ხატი ეკუთვნოდა ლაბეჭინის ღმრთისმშობლის ეკლესიას, სადაც აღწერა იგი ე. თაყაიშვილმა 1910 წ. ამჟამად რესტავრირებულია და ინახება საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში.

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ხატს XIV ს-ით ათარიღებს; გ. ჩუბინაშვილი XI ს-ით; თ. საყვარელიძე XI ს-ის I მესამედით.

გამოც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 27, № 3.
2. Г. Чубинашвили, 1959, с. 236, илл. 131.
3. ქართული... ხატები, 1980, ტაბ. 13.



[წ(მიდა)ო ღ(მრთი)ს მ შ(ო)ბ(ე)ლო, შ(ეიწყალ)ე ე(რისთავი) ჯ (ი) ნ ჯ (ი) ხ ა-
[წ(მიდა)ო ღ(მრთი)ს მ შ(ო)ბ(ე)ლო, შ(ეიწყალ)ე, ე(რისთავი) (ვ ა) რ დ (ა)-
ნ ა.

7

[X—XI სს.]. ვარდან ბაკურ ერისთავთ-ერისთავის ძის წარწერა

ხატი ვედრებისა; ჰედური; ე. თაყაიშვილის ცნობით — სპილენძის; გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით, ეს ცნობა მცდარი უნდა იყოს. მისი ვარაუდით, ეს ხატი მოწითალოდ მოოქრული ვერცხლისა უნდა ყოფილიყო და ე. თაყაიშვილმა ფერის გამო სპილენძის ხატად მიიჩნია. ზომა: 87 × 56 სმ (ე. თაყაიშვილის მიხ.).

დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოსურათის მიხედვით, ხატის აღწერილობა ასეთია: ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ვედრების კომპოზიცია — წელზევითი გამოსახულებები შუაში მაცხოვრისა, მარცხნივ იოანე ნათლისმცემლისა და მარჯვნივ — ღმრთისმშობლისა. გამოსახულებებს ახლავს ასომთავრული, რელიეფური, განმარტებითი წარწერები:

ᲘᲝᲐ ∽ ᲜᲗᲮᲫᲛᲪ ᲫᲘᲡ ∽ ᲮᲛᲘ ᲑᲫᲑ ∽ ᲘᲫᲗ

იოვ(ანე) ნ(ა)თლ(ის)მც(ემელი), ი(ეს)უ ქ(რისტ)ე დ(ე)დ(აჲ) ღ(მრ)თ-(ისაჲ).

ხატის ჩარჩო დაფარულია რომბული ორნამენტით, წმინდანთა გამოსახულებებით მედალიონებსა და ოთხკუთხედებში.

ხატის ქვედა ჩარჩოს ქვემოთ, იმავე ფირფიტაზე, მოთავსებულია კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა. ასომთავრული; რელიეფური; 3 სტრიქონი; განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: განივი, რელიეფური ხაზი; ფირფიტის აგლეჯის გამო წარწერის მესამე სტრიქონი. დაახლოებით შუა ადგილას, უმნიშვნელოდ ნაკლულია. სხვა მხრივ ტექსტი მოღწეულია დაუზიანებლად, მთლიანი სახით და ფოტოზედაც გარკვევით იკითხება.

ხატი ეკუთვნოდა ს. ფ ა ყ ი ს ღმრთისმშობლის ეკლესიას, სადაც აღწერა ის ე. თაყაიშვილმა 1910 წელს. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია. (სურ. 10).

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ათარიღებს XVI ს-ით; გ. ჩუბინაშვილი — X ს-ით.

ლიტ.: 1. M. Brosset, Rapp. X, p. 47—48.
2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 87—88, № 1.
3. Г. Чубинашвили, 1959, илл. 52, с. 414—415.

† მეოხ(ე)ბ(ი)თ(ა) დ(ა) შენ(ე)ვნ(ი)თ(ა) წმ(იდა)თ(ა) მთ(ა)ვ(ა)რა(ნ)გელ(ოზ)თ(ა)ისა კ ლ დ (ი) ს (ა) თ (ა)*, ვინ-(ე)ბე მე, მ(ო)ნა(მან) მ(ა)თმ(ა)ნ ვ (ა) რ|დ (ა) ნ, სულკეთილისა ე(რ ი ს თ ა ვ თ) ე (რ ი ს თ ა ვ ი)ს ა ბ ა კ უ რ ი ს ძ ე მ (ა) ნ, შეჰ(მ)ნ(ა)დ ამ(ი)ს[1] ხატის(ა)დ[2]. წ(მიდა)ნო მთ(ა)ვ(ა)რა(ნ)გელ(ო)ზნო, მეოხ ეჰმ(ე)ნ(ით) მწ(ა)რ(ე)დ ც(ო)დვ(ი)ლ|ს(ა) ს(უ)ლსა ჩემს(ა) და წა(რ)მართე(თ)[3] ბედ[ი ჩემი დ· წარმატებულ] ყ(ა)ვ(თ)[4].

† შე(ი)ჰ(მ)ნ(ა) ჴელ(ი)თ(ა) გ (ი ო რ გ) ი დ ვ (ა)-ლ (ი) ს ძ (ი) ს (ა) თ (ა) და გ (ი ო რ გ) ი მ უ ბ ა რ (ა)-ჭ ი ს ძ ი[ს ა თ ა][5].

---

* var: „მთ(ა)ვ(ა)რ(ან)გელ(ოზ)თ(ა)ი საკ(ა)ლდ(ი)ს(ა)თ(ა)".

თ: 1 ამისა. 2 ხატისად] ხატისა დ. 3 წარუმართე. 4 ბედი ჩემი და წარმატებულ ყაეთ] ბედ... 5 მობარჭის (ანუ მუბარჭისა) ძი(სათა).

8

[XI ს.]. მარუშის წარწერა

იფარის წმ. გიორგის ხატი; ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა 50 × 14 სმ.; ხატის ცენტრში მაღალი რელიეფით წარმოდგენილია მხედარი წმ. გიორგი, მარჯვნივ მიბრუნებით; იგი შუბით, რომელსაც ჯვარი აგვირგვინებს, გმირავს ცხენს ფესებთან განრთხმულ მეფე დეოკლიტიანეს. დეოკლიტიანეს თავთან გამოსახულია ფარი შუაში ნახევარმთვარით (?), ხოლო მისი ტანის გასწვრივ — გრძელი ხმალი ქარქაშში. წმ. გიორგის თავის ორივე მხარეს მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი წარწერა; ასომთავრული; რელიეფური; კიდურფოთლოვანი; ორ-ორი ასო თავის ორივე მხარეს; ასოების სიმაღლე: 2,5—5,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: კიდურფოთლოვანი, განივი ხაზი (სურ. 11).

ⴒⴑ ∩ ⴗⴑ წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ჲ.

ხოლო დეოკლიტიანეს თავთან, ფარს ზემოთ, მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი ასომთავრული წარწერა; სამ სტრიქონად; შესრულებული ჩაჭდევით, დაქარაგმების გარეშე; განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი, ზის ერთ ადგილას:

† დეოკლიტიანე მეფე უშჯულოი.

ხატის კტიტორის — მარუშის წარწერა მოთავსებულია ცხენის გამოსახულების ქვემოთ; ხატის ზედაპირი, მეფე დეოკლიტიანეს გამოსახულებამდის და დეოკლიტიანეს ფეხების გარშემო, შევსებულია ასომთავრული, 9 სტრიქონიანი, ჩაჭდევით შესრულებული, კიდურწერტილოვანი წარწერით; ასოების სიმაღლე; 0,9—1 სმ.; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: განივი, ოდნავ კლაკნილი ხაზი (ადგილ-ადგილ) (სურ 12)

ხატი წარმოადგენდა იფდის თემის სოფელ ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის საკუთრებას, სადაც იხახებოდა 1947 წლამდე. ამ წელს, აკად. გ. ჩუბინაშვილის ინიციატივით ჩვენი სავანეთის ეკლესიებში დაცულ სიძველეთა ერთ ნაწილთან ერთ დ, გადატანილ იქნა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 1968 წელს ხატი კვლავ დააბრუნეს ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც იმყოფება ამჟამადაც.

დათარიღება: XIV ს. — ე. თაყაიშვილი; XI ს. — გ. ჩუბინაშვილი.

ლ ტ.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 237.

2. Г. Чубинашвили, 1959, ილ. 184.

+ მოიჭედა ხატი ესე, წ(მ)იდ-
(ი)სა გ(იორგ)ჲსა ი ფ ა რ ი ს ა,
ჩ(ე)მ|გ(ა)ნ — მ ა რ უ შ ი ს მიერ,
!ალ·ცველად და· სახსრა|დ ს(უ)-
ლისა ჩემ(ი)სა დღესა მას განკით-
ხვისასა,—ჩემითა ოქრ|ოითა და
ვეცხლი|თა,| ჴელითა| ა ს ა ნ ო ქ-
რ ო|მ ჰ ე დ ლ ი ს ა (ჲ)|თ ა.

9

[XI ს.]. ივანე დოროზელისძის წარწერა

ხატი მაცხოვრის; ჰედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 51×40 სმ. ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია მაცხოვარი ტახტზე, მაკურთხებელი მარჯვენით და მარცხენა ხელში გაშლილი სახარებით. ამ ნაწილის ზომაა 38×26,5 სმ; იგი დაზიანებულია: ვერცხლი აგლეჯილია მაცხოვრის წელს ქვემოთ, აცრეცილია მაცხოვრის ტახტის მარცხენა კიდესთან და თავთან. თავის გამო-

სახუ[illegible] ორივე მხარეს, სადა ფონზე, მოთავსებულია გამოსახულების გან-
მარტე[illegible] ასომთავრული, რელიეფური წარწერა (სურ. 13):

ⴰⵔⵙⴰ ⵛ ⵜⵔⵗ ⴓ(ე)სუ ქ(რი)ს(ტ)ე.

ხატი ჩარჩო ასევე დაზიანებულია; მოგლეჯილია ზედა ჩარჩოს მარცხე-
ნა ნაწი[illegible]ი და ქვედა ჩარჩო — მთლიანად. ვერცხლის ფირფიტა წიგნის გამო-
სახულებით, რომელზედაც მოთავსებულია ასომთავრული. ჩაშენებით შე-
სრულებული სახარების ტექსტის ნაწყვეტი (იოვანე 8, 12) — ცალკეა:

ⵜ ⵛⵗⵅⵒ	ⵘⵆⵗ	
ⵛⵗⵁⵚⵗ	ⵗⵏ : ⵛⵗ	მე ვ(ა)რ ⴔეუ(ფ)ე დიდებისა.
ⵛⵆⵛⵗⵚⵗ	ⵔⵒⵔ : ⵖⵗ	რ(ომე)ლი შეჰომიდგეს მე, არა
ⵍⵔ ⵒ·ⵆⵗ	ⵛⵁⵛⵆ	ვიდოდეს ⴕნ(ე)ლ(ს)ა.
ⵚⵗⵒⵁⵒ	ⵏ ⵍ·ⵃⵏⵆ	

ხატის ცენტრალური ნაწილის ქვემოთ, მაცხოვრის გამოსახულების ორივე მხარეს, მოთავსებულია ორი წარწერა: მარცხნივ იოვანე დორობელისძისა და მარჯვნივ — ოქრომჭედელ გიორგი გეაზავასი. ხატი 1978 წლამდე ინახებოდა მესტიის თემის ს. ლ ა ნ ჩ ვ ა ლ ი ს მთავარანგელოზთა ეკლესიაში. ამ წელს ეკ-
ლესია გაიძარცვა, მაგრამ ეს ხატი არ გაუტაცნიათ და მის შემდეგ იგი გადაი-
ტანეს სვანეთის ის·ტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც ამჟამადაც ინა-
ხება.

ა. ი ვ ა ნ ე დ ო რ ო ბ ე ლ ი ს ძ ი ს წ ა რ წ ე რ ა; ასომთავრული; რელიე-
ფური; 9 სტრიქონი; უპირავს ფართობი: 9,5×3,5 სმ. ასოების სიმაღლე: 0,8—
1 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ;
ქარაგმის ნიშანი: განივი, რელიეფური ხაზი (სურ. 14).

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს, და მაშასადამე, მის წარწერას XIII—XIV ს-ს აკუთვნებს. გ. ჩუბინაშვილი — XI ს–ს.

გ ა მ ო ც.: 1. Д. Бакрадзе, 1864, с. 99—100.
2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 292—294, № 3 (თ).
3. Г. Чубинашвили, 1959, с. 382.



ⵜ[1] ჰი, მეუ(ფ)ე|ⵙო[2],შემი|წყალე მე,| ცოდვილი| ესე, დღესა | მას განკი|თხვისასა ი(ვ ა) ნ ე[3] დორ|-ო ბ ე ლ (ი) ს ძ ე.

1 — თ. 2 მეუე|ⵙეო წრწ. 3 იოანე თ.

ბ. ო ქ რ ო შ ე დ ლ ი ს წ ა რ წ ე რ ა: ასომთავრული; რელიეფური; 5 სტრიქონი: უჭირავს ფართობი: 5×4 სმ. ასოების სიმაღლე 0,8—1 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ, ბოლოს დასმული აქვს ორწერტილი და განივი ხაზი: ქარაგმის ნიშანი: განივი, რელიეფური ხაზი (სურ. 15).



† ქელითა| მოიქედ|ა გ(ი ო რ გ) ი ს ვ|ა ზ ა ვ ა ს ი|თ ა.

10

[XI ს.]. ფარჯანის და მეფოველთა წარწერა

ხატი წმ. გიორგისა; ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 57×44 სმ; ხატის ცენტრალური ნაწილის ზედა ნახევარში გამოსახულნი არიან: მაცხოვარი—ნახევრადოვალურ მედალიონში, მარცხენა ხელში დაკეცილი კოდექსით და მაკურთხებელი მარჯვენით; ქრისტესადმი ვედრების პოზაში, მრგვალ მედალიონებში, — ღმრთისმშობელი და იოვანე ნათლისმცემელი. სამივე გამოსახულებას ახლავს განმარტებითი, ასომთავრული წარწერები (სურ. 16):

† ϑ̄ϑ̄ ΙΗ̄Σ Σ̄Ч †̄Ч ϷΣ ΣΛΠ

დ(ე)დ(ა)ჲ ღ(მრთისა)ჲ, ჲ(ეს)უ ქ(რისტ)ე, წ(მიდა)ჲ ჲ(ოვა)ნე.

ხატის ცენტრალური ნაწილის ქვედა ნახევარში გამოსახულია მხედარი წმ. გიორგი, მარჯვნივ მიბრუნებით, რომელიც შუბით გმირავს ცხენის ფეხებთან განრთხმულ დეოკლიტიანეს. გამოსახულებას ახლავს განმარტებითი, ასომთავრული წარწერა:

ϷΣ ЧΣ· წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი.

კ ტ ი ტ ო რ უ ლ ი წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ცენტარლური ნაწილის ქვედა ნახევარში. წარწერის ტექსტს ორი ნაწილად ჰყოფს წმ. გიორგის და დეოკლიტიანეს გამოსახულება: ასომთავრული; 3 სტრიქონი; რელიეფური; ასოების სიმაღლე: 0,5—1—2 სმ.; განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: განივი, სწორი ხაზი.

ხატი ეკუთვნოდა ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიას. ამჟამად ინახება სეანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

დათარიღება: ე. თაყაიშვილის აზრით, ხატი XVII—XVIII საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. გ. ჩუბინაშვილი ხატს XI ს-ით ათარიღებს.

გამოც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 238, № 3 (თ)
2. Г. Чубинашвили, 1959, илл. 229—234, с. 334.

წ(მიდა)ო გ(იორგ)ა[1] ა ფ ა რ (ი) ს (ა)ო,[2]| შ(ეწყო:ლ)ე ფ ა (რ) ჯ (ა) ნ ა[3]| და მ ე ფ (ო ვ ე ლ) ნ ა[4], ა(მე)ნ[5].

თ: 1 გიორგი. 2 იფარისაო. 3 ფარიჯანიანი (?). 4 მეფენი. 5 ამინ.

11

[XI ს.]. ასან გვაზავაძის წარწერა

ხატი მხედარი წმ. გიორგისა; ჰედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 41×33,5 სმ. ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია მარცხნივ მიმართული მხედარი წმ. გიორგი, რომელიც ცხენის ფეხებთან განრთხმულ დეოკლიტიანეს შუბით გმირავს. დეოკლიტიანეს ფეხებთან, ცალკე, პირდაპირ გამოსახულია მრგვალი ფარი. ჩარჩოს ჰედურობის ფრაგმენტები შერჩენილია მხოლოდ გვერდით ჩარჩოებზე — მარცხნივ მთლიანად და მარჯვნივ მხოლოდ ზემოთ. გამოსახულების თავის ორივე მხარეს მოთავსებულია ასომთავრული, მოზრდილი, რელიეფური, განმარტებითი წარწერა:

ჩ̄ ⌒ ⊽ⵗ წ(მიდა)ა გ(იორგ)ი.

ო ქ რ ო მ ჰ ე დ ლ ი ს წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ცენტრალური ნაწილის ქვედა კიდეზე—დეოკლიტიანესა და ფარის გასწვრივ. ასომთავრული; 1 სტრიქონი; სუსტად რელიეფური; უჭირავს ფართობი: 12×1 სმ. ასოების სიმაღლე 0,5—1 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი არ ახლავს (სურ. 17).

ხატი ინახებოდა სოფ. ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიაში. ამჟამად გადმოტანილია მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ხატს XVII ს-ით ათარიღებს. გ. ჩუბინაშვილი XI ს-ით. მისი აზრით, ამ ხატის ოქრომჭედელი ასან გვაზავაძეს და მარუშის მიერ შეწირული იფარის წმ. გიორგის ხატის ოქრომჭედელი ასანი — ერთი და იგივე პირია. წინამდებარე ხატი, როცა გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ასან გვაზავაძეს შეუსრულებია ახალგაზრდობაში, ხოლო მარუშის შეწირული ხატი — „უფრო გვიან, თავისი ნიჭის ბრწყინვალე გაფურჩქვნის წლებში".

გამოც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 238, № 2. (თ).
2. გ. ჩუბინაშვილი, 1957, ტაბ. 94;
3. Г. Чубинашвили, 1959. с. 183, 363, 569.



მოიჴ(ე)და კელ(ი)თა[1] ა ს (ა) ნ გ ვ (ა) ზ (ა) ვ (ა ძ ს) ძ (ი ს ა) ი თ (ა)[2].

თ: 1 ხელითა. 2 გულოვანისითა.

12

[XI ს.]. თევდორე გვაზავაძისის წარწერა

ხატი მაცხოვრისა; ჭედური; ვერცხლი; ზომა: 35 × 26 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია მაცხოვარი ტაიტზე, მარცხენა ხელში დაკეცილი სახარებით, რომელსაც მარცხენა ფეხის მუხლის თავზე იმაგრებს, და მარჯვენით, რომელიც მკერდთან აქვს მიდებული. ჭედური ჩარჩო შერჩენილია მხოლოდ ორგან — ზემოთ და მარჯვენა მხარეს. სადა ფონზე მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერა:

† ᲝᲫ ⌒ †Უ † ᲛᲔᲡᲣ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ.

ოქრომჭედელ თევდორე გვაზავაძისის წარწერა მოთავსებულია ცენტრალური ნაწილის ქვედა მხარეს, ტახტის ფეხის მარცხნივ და მარჯვნივ; ასომთავრული; რელიეფური; უპირავს ფართობი: მარცხნივ — 2×4,5 სმ. და მარჯვნივ — 2,5×3 სმ. ასოების სიმაღლე: 0,8—1 სმ. განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: განივი, კლაკნილი, კიდურფოთლოვანი ხაზი (სურ. 18).

ხატი ეკუთვნოდა სოფ. იელის მაცხოვრის ეკლესიას. 1948 წელს გადმოტანილ იქნა მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც ამჟამადაც ინახება.

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ხატს XIV ს-ით ათარიღებს, ხოლო გ. ჩუბინაშვილი XI ს-ით.

გამოც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 231—232, № 1 (თ).
2. გ. ჩუბინაშვილი, 1957, ტაბ. 105.
3. Г. Чубинашвили, 1959.с. 375.



მო(ი)ჴ(ედ)ა| ხატი| ესე| ჴე(ლი)თა| თ(ე ვ დ ო რ)ე[1] გ(ვ ა)ზ ა ვ ა(ძ)ს|ძ ი(ს ა)-ძ(თ) ა[2].

თ: [1] თეოდორე. [2] გლავასძისაძთა.

13

[XI სს.]. იწელთა წარწერა

ხატი ღმრთისმშობლისა; ჰედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 36×32 სმ. ხატი დამზადებულია ვერცხლის ერთიანი ფირფიტისაგან. გარშემო დაუყვება გრეხილი ორნამენტის ჩარჩო. ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ღმრთისმშობელი ყრმით მჯდომარე ტახტზე. მხრების დონეზე, თავის ორივე მხარეს მოთავსებულია განმარტებითი წარწერა:

ϬᐟϬϠ ∽ ΠᐟΦϠ დ(ე)დ(ა)ი ღ(მრ)თ(ისა)ი.

ღმრთისმშობლის მარცხნივ გამოსახულია წმინდანი, მთელი ტანით, პირდაპირ; მარცხენა ხელში დაკეცილი წიგნით და მკერდთან მიდებული მარჯვენით — კურთხევის ნიშნად. მარჯვნივ — საერო პირის გამოსახულება მთელი ტანით, მარჯვენა ხელში გრაგნილით.

ღმრთისმშობლის გამოსახულების ზემოთ, ხატის კუთხეებში წარმოდგენილია თითო მფრინავი ანგელოზი. მათ შორის მოთავსებულია განმარტებითი წარწერა:

ϷϽ ϬᐟϮ ϖ ϤϠᐟϽϮ ϖ წ(მიდა)ა მ(ი)ქ(აე)ლ, [(წმიდა)ა] გ(ა)ბრ(იე)ლ.

გამოსახულებათა ქვემოთ, მთელ სიგანეზე, მოთავსებულია წარწერა; ასომთავრული-ნუსხური; ჩაშდევით შესრულებული, ბოლო სიტყვა ქმნის ტექსტის მეორე სტრიქონს; უპირავს ფართობი: 27 × 4 სმ. ასოების სიმაღლე: 1—2 სმ. განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: კიდურწაისრული, განივი ხაზი (სურ. 19).

ხატი ძველადვე და ახლაც ინახება სოფ. ღობის ღმრთისმშობლის ეკლესიაში („ლამარია").

გამოც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 134, № 1.



წ(მიდა)ა(ს)[1] ღ(მრ)თისმშობელო[2],
შ(ეიწყალე) ი წ ა[3] ს ო ფ ე ლ ი და
შიშ(ი)თ მლოცველი[4].

თ: 1 წმიდაო. 2 ღთის მშობელო. 3 იწას. 4 ილოცევით.

14

[XI ს.]. სვანუნიხ წარწერა

ხატი წმ. კვირიკესი; ჭედური; მოოქრული ვერცხლი; ზომა: 71×49 სმ. ხატის ცენტრში წარმოდგენილია წმ. კვირიკე მთელი ტანით, ჯვრით მარცხენა ხელში. ფირფიტის აგლეჯის გამო გამოსახულება დაზიანებულია. გამოსახულების ნიმბის ორივე მხარეს მოთავსებულია ასომთავრული, რელიეფური, კიდურწაისრული, განმარტებითი წარწერა (სურ. 20):

წ(მიდა)ჲ კ(ვრი)კე.

ხატის ცენტრალური ნაწილის ქვედა მარცხენა მხარეს გამოსახული ყოფილა კტიტორი, ვედრების პოზაში წმ. კვირიკეს მიმართ; ამჟამად დარჩენილია მისი გამოსახულება წელსქვემოთ.

კტიტორის ზურგს უკან მოთავსებულია ასომთავრული წარწერა: 8 სტრიქონი; რელიეფური; უპირავს ფართობი: 9 × 6 სმ. ასოების სიმაღლე: 0,7—1 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: განივი, რელიეფური ხაზი. მოქედილობის ამოწვის გამო, წარწერის მე-3—5 სტრიქონების დასასრული — ტექსტის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, სადაც კტიტორის სახელი იყო აღნიშნული, — ამჟამად ნაკლულია. დ. ბაქრაძის მიერ ხატის შესწავლის დროს აქ ტექსტი, მართალია ნაკლულად, მაგრამ უფრო სრულად ყოფილა წარმოდგენილი. ნაკლულ ადგილებს, ისევე როგორც ე. თაყაიშვილი, ჩვენც დ. ბაქრაძის მიხედვით აღვადგენთ (სურ. 21).

ხატი ინახება სოფ. კალის წმ. კვირიკეს ეკლესიაში („ლაგურკა").

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ათარიღებს XII—XIII სს., გ. ჩუბინაშვილი — XI ს.

გამოც.: 1. Д. Бакрадзе, 1864, с. 117.
2. П. Уварова, МАК, X, с. 117, таб. XXXVI.
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 188—189, № 8 (თ).
4. Г. Чубинашвили, 1959, с. 287, илл. 211 (ჩ).



†[1] წ(მიდა)ო და დ(იდე)ბ(უ)ლო ქ(რისტე)ს ჱ(ო)წ(ა)მ|ეო კ(ჳრიკ)ე[2], შეოხ ექმენ წ(ინაშ)ე| ქ(რისტ)ესსა(ს)[3], ფ(რია)დ მოსაჴ[სს]|| ძ(ა)ლისა შ(ჴ)ნ(ი)სს[ა⁴(ს) ხ გ ა ნ უ] ნ ი ს,[5] რ(ომელმა)ნ [შ]ეამ[ყო] წ(მიდა)ჲ ესე ხ(ა)ტი დ(იდე)ბ(უ)ლ[ი]სა სახისა| შენისაჲ.

[1] † — თ, ჩ. 2 კვირიკე თ, ჩ. 3 ქრისტესა თ, ჩ. 4 შენისასა ჩ. 5 სგანუ...ნის თ, სგანუნაანის ჩ.

15

[XI ს.]. ვახტან ლომინაისძის წარწერა

ხატი მხედარი წმ. გიორგისა; ამჟამად დაკარგულია; აღწერილობა და წარწერის ტექსტი მოგვყავს ე. თაყაიშვილის გამოცემისა და დ. ერმაკოვის ფოტოსურათის მიხედვით; ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 89 × 56 სმ. წმ. გიორგი გამოსახულია საომარ ტანსაცმელში, მარჯვენა ხელში შუბით, ზურგზე ფარი ჰკიდია; ახლავს განმარტებითი ასომთავრული წარწერა:

ႼႠ ႢႠ წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ჲ.

ხატის ჩარჩო რომბული ორნამენტითაა დაფარული.

კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია წმ. გიორგის უკან, წელის დონეზე; ასომთავრული; 4 სტრიქონი.

ხატი ეკუთვნოდა ს. ჯ ა ხ უ ნ დ ე რ ი ს წმ. გიორგის ეკლესიას.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: გ. ჩუბინაშვილი ხატს XI ს-ით ათარიღებს.

გ ა მ ო ც.: 1. M. Brosset, Rapp., X, p. 53.
2. П. Уварова, МАК, X, 1904, табл. XXXIV.
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 107, № 1.
4. Г. Чубинашвили, 1959, ст. 353, илл. 188.



† მო(ი)ჳედა წ(მიდა)ჲ ესე ხატი მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ო ბ ა ს ა ვ ა ხ ტ (ა ნ)გ ლ ო მ ი ნ| ა ი ს ძ ი ს (ა) ს ა; და გამოიღო ოცისა დრაჰკნისა საქონელი| მის(ს)ა ჰელოვანთა მისაცემელად; და გვედრიან| სულითა და ჴორცითა, მოწ(ამე)ო გ(იორგ)ი.

16

[XI ს.]. კვირიკეს წარწერა

ხატი წმ. კვირიკესი და წმ. ივლიტასი; ჭედური; ვერცხლი; ზომა: 70 × 48,5 სმ. ხატის ცენტრში დაკრულ ფირფიტაზე (ზომა: 27 × 27 სმ.) მოცემულია წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას მაღალი რელიეფით შესრულებული გამოსახულებანი. ახლავს განმარტებითი წარწერები:



წ(მიდა)ჲ კ(ვრიკ)ე. წ(მიდა)ჲ ი(ვ)ლ(ი)ტა.

ხატის ცენტრსა და ჩარჩოებს შორის დაკრულია კიდევ 5 ჭედური ფირფიტა, რომლებზედაც შტამპებით ამოყვანილია სხვადასხვა წმიდანების გამო-

სახელებანი. ხატი შემკულია 4 ძვირფასი თვლით — ერთი ჩასმულია ხატის ზედა ნაწილის ცენტრში, გრეხილ ვარდულში. ხატის ჩარჩო დაფარულია ორმაგი ფოთლოვანი ორნამენტით და ოთხკუთხა ჩარჩოების მრგვალ მედალიონებში წმინდანების გამოსახულებით.

ხატის ქვედა ნაწილში დაკრულია ორი ჰედური ფირფიტა, წმინდანებისა და რელიეფური სფეროების გამოსახულებით, რომელთა შორის ადგილი შევსებულია წარწერით; ნუსხურნარევი ასომთავრული; რელიეფური; კიდურწერტილოვანი; 4 სტრიქონი; ასოების სიმაღლე: 2—1,3 სმ. ქარაგმის ნიშანი: განივი სწორი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს. წარწერის ტექსტი იწყება ქვედა ფირფიტაზე (სურ. 22).

ხატი ეკუთვნის ს. კალის წმ. კვირიკეს და ივლიტას ეკლესიას („ლაგურკა").

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ხატს XVI ს-ით ათარიღებს.

გამოც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 189—191, № 9 (თ).
2. გ. ჩუბინაშვილი, 1957, ტაბ. 19, 20.



წ(მიდა)ო კ(ვრიკ)ე[1], ი(ვ)ლ(ი)ტა, შ(ეიწყალ)ე(თ)[2] კ(ვ რ ი კ) ე[3], შ(ვი)ლნი მ(ი)სნი[4], ორსავე ცხორებასა.

თ: 1 კვირიკე. 2 შეიწყალე. 3 კვირიკე. 4 შვილნი მისნი] შვილ-ცოდვილი.+მოხუცი.

17

[XI ს.]. ესტატე ოქრომჭედლის და დაივ ოდესრიანის წარწერა

ხის სარჩულიდან ამძვრალი ვერცხლის ფირფიტა; ზომა 22×20 სმ. ცენტრალურ ნაწილში, ოთხკუთხა ჩარჩოში (ზომა: 7,5×6,5 სმ.) წარმოდგენილია მთავარანგელოზის წელზევითი გამოსახულება, მარჯვენა ხელში კვერთხით, ხოლო მარცხენა ხელის მკერდზე მიყრდნობით. ფირფიტის ოთხივე კუთხეში, ოთხკუთხა ჩარჩოებში (ზომა: 6×4 სმ.) გამოსახულია ტახტზე მჯდომი მაცხოვარი მაკურთხეველი მარჯვენით და მარცხენა ხელში გრაგნილით. გამოსახუ-

ლებებს შორის ჩარჩოებში (ზომა: 5×2,5 სმ.) ჩასმულია ფოთლოვანი ორნამენტი.

ფირფიტის ზედა, ქვედა და მარჯვენა თავისუფალ ფონზე მოთავსებულია გარდამავალი მხედრული დამწერლობით შესრულებული წარწერა.

ჰედური ფირფიტა ხატის სხვა ფრაგმენტებთან ერთად 1981 წელს შეისწავლა სვანეთის კომპლექსურმა ექსპედიციამ ს. ნ ა ც უ ლ ი ს მთავარანგელოზთა ეკლესიაში. 1985 წელს ეკლესია გაიძარცვა და წარწერიანი ჰედურობის ფრაგმენტი დაიკარგა.





წ(მიდა)ო ს(ა)მებაო, შ(ეიწყალ)ე ე ს ტ ა ტ ე ო ქ რ ო მ ჭ ე დ ე ლ-ი; შე(უნ)დე დ ა ი ვ ო დ ე ს რ ი ა (ნ) ს ა ცოდვ(ა)ნი.

18

[XI ს.]. ესტატი ოქრომჭედლის წარწერა

ჯვარი საწინამძღვრე; ქერცხლი; მოოქრული; ზომა: 35,5× 27 სმ. ჯვრის წინა პირზე, ცენტრში, რელიეფური სფეროს სამ მხარეს (ზედას გამოკლებით), მოთავსებულია წარწერა; გარდამავალი მხედრული; ჯვრის ზურგზე, განივ მკლავებზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი წარწერა; ასევე გარდამავალი მხედრული. წარწერები შესრულებულია ჩაშდევით (სურ. 23, 24).

ჯვარი ეკუთვნოდა ს. მ უ რ უ მ ე რ ი ს წმ. ბარბარეს ეკლესიას. ამჟამად ინახება ს. ჩ ა ჟ ა შ ი ს მაცხოვრის ეკლესიაში.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ჯვარს XVIII ს-ით ათარიღებს.

გ ა მ ო ც.: 1. Д. Бакрадзе, 1864, გვ. 119, დამ. № 39.
2. П. Уварова, X, 1904, გვ. 169, №№ 92—96.
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 170, № 9.
4. უშგული, 1986, № 98.

ა. ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე კ̃ნაბი(ს).



ბ. შ(ეიწყალ)ე ესტატი ოქრომჭ(ე)დ(ე)ლი.

19

[XI—XII სს.]. წარწერები მაცხოვრის ხატზე.

ხატი მაცხოვრისა; ხატის მოჭედილობა დაკარგულია; აღწერილობა მოგვყავს ე. თაყაიშვილის გამოცემისა და დ. ერმაკოვის ფოტოსურათის მიხედვით; ჭედური; ვერცხლი; ზომა 71×50 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ფეხთფიცარზე მდგომი მაცხოვრის გამოსახულება მაკურთხებელი მარჯვენითა და მარცხენა ხელში გაშლილი სახარებით, რომელზედაც მოთავსებულია ასომთავრული წარწერა (სურ. 25).

ⴓⵗ ⵍⵁⴼⵒ
ⵒⵔ ⵗⵍⵔ
ⴢⵒⵒ ⴢⵒ
ⵔⵁⵗ ⴓⵒⵍⵗ
ⵒⵍⵗ ⵗⴓⵁⴓⵔ
ⵟⵗⵒⵔ | ⵒⵗⴓⵛⵍⵗ

მე ვარ ნათელი სოფლისა. რომ(ე)ლი შემომ(ი)დგეს მე არა ვ(ი)ღ(ოდ)ეს ბნელსა*.

* იოვანე 8, 12.

ნიმბის ორივე მხარეს, რელიეფური წერტილებით შედგენილ წრეებში, მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერა:

Ⴗ·ᲡᲥ ⴕ·Ⴗ Ⴢ(ე)სუ ქ(რისტ)ე.

გამოსახულებისაგან თავისუფალი ადგილი შევსებულია ფოთლოვანი ორნამენტით და ვერტიკალური წერტილების რიგით.

ხატი ეკუთვნოდა ს. თ ე კ ა ლ ი ს მაცხოვრის ეკლესიას, სადაც აღწერა ის ე. თაყაიშვილმა 1910 წელს. 1977 წელს სვანეთის კომპლექსურმა ექსპედიციამ შეისწავლა თეკალის ეკლესიის სიძველენი და, მათ შორის, ამ ხატის დარჩენილი ფრაგმენტები — ვერცხლის ჰედური ფირფიტები დაკრული მაცხოვრის სხვა ხატის ხის სარჩულზე.

შემორჩენილი ჰედურობიდან ერთ-ერთია ფრაგმენტი ასომთავრული წარწერით. იგი ახალ ადგილას, ხატის ზედა მარცხენა კუთხეში, დაკრულია თავდაღმა. ზომა: 14×9,5 სმ. ფირფიტის მარჯვენა და ქვედა კიდე დაუზიანებლად არის მოღწეული; მარცხენა კიდე შემოცრეცილია და დაზიანებულია წარწერის სტრიქონების დასაწყისი. ზედა კიდე გადახეულია განივად — შერჩენილია ორნამენტის ფრაგმენტი.

გამოც.: 1. M. Brossel, Rapp. X, p. 52.
2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 103, № 2 (თ).

ფირფიტაზე ჩაჭდევით შესრულებულია ორი წარწერა:

ა. ხ ე ვ ი ს წ ე რ წ ე რ ა; ასომთავრული; 5 სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 7,5×5,5 სმ. ასოების სიმაღლე: 1—0,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: განივი, სწორი, ჩაჭდეული ხაზი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ (სურ. 26):



[†[1] მა]ცხ(ოვარ)ო ლ ა შ (ე) რ (ი) ს (ა) ო[2], აშენე| მაშ(ე)ნებ(ე)ლი შენი ესე ჴ(ე)ვი[3].| მ(ოი)ჴედა[4] წ(მიდა)ი ესე ხ(ა)ტი მ (ა) მ ა|ს (ა) ხ ლ ი ს ო ბ (ა) ს ა გელდ (ი) სა | კ ვ ა ჭ ვ ა ი ს ა[5].

თ: 1 —. 2 ლაშარისაო. 3 ესე ჯვეი] ჴესე, რომელმან. 4 მოჴედა. 5 გელდისა კვაჭვაისა] გელასა დეკანოზისა.

ბ. იოვანე დეკანოზის წარწერა; ასომთავრული, შესრულებული ჩაჭდეული წერტილებით; 4 სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 6×4.5 სმ. ასოების სიმაღლე: 1,5—1 სმ; ქარაგმის ნიშანი არ ახლავს; განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. შესრულებულია წინა წარწერის უშუალო გაგრძელებაზე (სურ. 26):

† ᲨᲥᲔᲘᲓᲨ	† მ(ა)ცხოვ(ა)|რო ლ (ა) შ ე რ [ი-
ᲰᲘᲐ ᲦᲐᲧᲨ	ს ა] ო,[1] შ(ეიწყალ)ე ი (ო ვ ა) ნ ე[2]	
[ᲚᲨᲒ]Ი : ᲧᲛ ᲘᲜᲛ :	დ ე კ (ა) ნ (ო) ზ ი.
ᲒᲧᲜᲜᲦᲐ :	

თ: 1 ლაშარისაო. 2იოანე.

20

[XII ს]. იოვანე ვარდანისძის წარწერა

ხატი წმ. გიორგისა; ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 62×48 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ფეხზე მდგომი წმ. გიორგი, საომარ ტანსაცმელში; მარჯვენა ხელში ტანის ვერტიკალურად აღმართული შუბი უჭირავს, მარცხენა ხელით ფარს ეყრდნობა. ნიმბის ორივე მხარეს, კვადრატულ ჩარჩოებში, პუნსონირებულ ფონზე, მოთავსებულია განმარტებითი ასომთავრული წარწერა, შესრულებული ორმაგი ჩაჭდევით:

Ⴃ-Ⴃ ᲣᲘᲘ წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი.

გამოსახულებისაგან თავისუფალი ფონი შევსებულია ხვეული ფოთლოვანი ორნამენტით.

ხატის ჭედურობა დაზიანებულია; აცრეცილია წმ. გიორგის მარცხენა მხართან და ფეხთან; ჭედურობა ამძვრალია ხატის ცენტრალური ნაწილის ქვედა მარცხენა მხარეს.

ხატის ჩარჩო დაფარულია რომბული ორნამენტით; ქვედა ჩარჩოს მოჭედილობა ამძვრალია.

კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ცენტრალური ნაწილის მარცხნივ, დაუყვება წმ. გიორგის გამოსახულების მარჯვენა გვერდს, გრძელდება წმინდანის ფეხებთან და მთლიანად ავსებს ფონს; ასომთავრული; ორმაგი კონტურით; 24 სტრიქონი; სტრიქონები ერთმანეთისაგან გამოყოფილია პარალელური ხაზებით; მოჭედილობის ძძრობის გამო, წარწერის ტექსტის 15—19 სტრიქონის დასასრული და 20—24 სტრიქონის შუა ადგილი ნაკლულია; ქარაგმის ნიშნები არ ახლავს: განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

ხატი ეკუთვნოდა ს. ლაბეჯინის ღმრთისმშობლის ეკლესიას. 1925 წელს ხატი გადმოტანილ იქნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (Г. Чубинашвили, 1951, с. 251, прим. 1), სადაც ინახება ამჟამადაც.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: 1. ე. თაყაიშვილი ხატს და მის წარწერას ათარიღებს XII ს-ით, 117ა წ-მდე დროით; გ. ჩუბინაშვილი — XI—XII ს-ით.

გ ა მ ო ც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 22, № 2.
2. გ. ჩუბინაშვილი, 1957, ტაბ. 56.

მე, ი(ვა ნ)ე | ვ(არდა ნ(ი)ს ძე(მა ნ,| ს(უა ნ)თ(ა) ე(რი ს თა ვმა ნ)ი მ(ე) ჰ(ურჰლე) თ|უ(ხ უც ე ს მა ნ და პრ(ოტ)ოს ტ(რა ტ)ო(რმა ნ | მოვ-
ჰედე ხ(ა)ტი| ესე წ(მიე)ისა გ(იორგ)ის| მთ(ა)ვ(ა)რმ(ო)წ ყა ლის|ა და ღავ(ა)ს(უე)ნე| ს(ა)ყდ(ა)რსა შ(ინ)ა ს ო ჩ მ(ი)|ს (-) ს ა საკს(ე)ნ(ე)ბ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა,| მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(ე)მთა| და შვილთა| ჩ(ე)მთ(ა)თ(ჳ)ს, [რაჲთა] ამი თ ხ(ა)ტ[ითა] ჴოგუ(ე)ნდ ნ ეს მე [და]| შვ(ი)ლნ[ი ჩ(ე)][მნი; და [მ]|ოგუ(ე)ც თ(ა)ვსმდ ებლ[ად] [...]ლითა| გლ[...]რ[...]ა| ღა ჩ(უე)ნის(ა)თ(ჳ)ს შ(ე)ნ| [ქჳ(ე)ლმ(ა)]ნ და მჴნემ(ა)ნ.

21

[XII ს.]. იოვანე ვარდანისძის წარწერა

ხატი წმ. გიორგისა; ჰედური; მოოქრული ვერცხლი; ზომა: 74×40 სმ., (განის ზომა 40 სმ. თავდაპირველი არ არის — ხატი გაცილებით განიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სარჩული ფიცრის შუა ნაწილი დაკარგულია), ხატი ძლიერ დაზიანებულია: ამომწვარია მთლიანად შუა ნაწილი, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა წმ. გიორგის გამოსახულება; მომძვრალია მთლიანად ზედა და ქვედა ჩარჩოები: მარცხენა ჩარჩოს აკლია ქვედა ნაწილი, ხოლო მარჯვენა ჩარჩოს — ქვედა ნახევარი. ამ დაზიანებათა შედეგად ხატის მოჭედილობა სიგრძეზე ორ ნაწილად გაყოფილა. შემდეგში ეს ნაწილები დაუკრავთ ხის სხვა ფიცარზე. ეს თავდაპირველი ფიცარი არ არის — ფრაგმენტებს შორის წმ. გიორგის გამოსახულება არ ჩაეტეოდა. ცენტრალური ნაწილის ფონი დაფარულია ფოთლოვანი ყლორტების ორმაგი რიგით, ხოლო ჩარჩოს დარჩენილი ნაწილები — ლურსმული ორნამენტით, მედალიონების გარეშე. ხატზე წმ. გიორგი გამოსახული იყო მთელი ტანით, ფეხზე მდგომარე. გამოსახულებას ახლდა განმარტებითი წარწერა, ასომთავრული, რელიეფური, კიდურფოთლოვანი; შესრულებული დიდი ზომის ასოებით სადა ფონზე; ასოები ადგილ-ადგილ ამომწვარია. ასოების სიმაღლე: 5,5×5 სმ.

ⴼ⴪ ⵛ ⵗ⴪ ⴼ(მიდა)ი გ(ორგ)ი.

კ ი ტ ო რ უ ლ ი წ ა რ წ ე რ ა; ასომთავრული; რელიეფური; 11 სტრიქონი; მოთავსებულია ხატის ცენტრალური ნაწილის ქვედა მარცხენა კუთხეში. წარწერის სტრიქონთა დასასრულები, გარდა პირველი სტრიქონისა, მომწვარია და ამის შედეგად ტექსტი უმნიშვნელოდ ნაკლულია. სტრიქონები ერთმანეთისაგან გამოყოფილია რელიეფური ხაზებით. წარწერას უპირავს ფართობი 15×7 სმ. ასოების სიმაღლე: 1 სმ; განკვეთილობის ნიშანი: 2 წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.

ე. თაყაიშვილს 1910 წელს ხატი უნახავს მ ე ს ტ ი ი ს მთავარანგელოზის ეკლესიაში, რომელიც წყლის პირას იდგა. ამ მიტოვებულ ეკლესიაში წყალი იდგა და ნაძარცვ ხატებს შორის ორი საყურადღებო განძი აღმოჩნდაო და ერთ-ერთ მათგანად ზემოაღწერილ ხატს ასახელებს. 1931 წელს ხატი გ. ჩუბინაშვილს აღუწერია მესტიის ერთ-ერთი უბნის ლ ა ნ ჩ ვ ა ლ ი ს მთავარანგელოზთა ეკლესიაში. აქვე აღწერა ეს ხატი 1975 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სვანეთის კომპლექსურმა ექსპედიციამ. 1978 წელს ეკლესია გაიძარცვა, მაგრამ ეს ხატი არ გაუტაცნიათ და ამის შემდეგ იგი გადაიტანეს მესტიის მუზეუმში, სადაც ამჟამადაც ინახება (სურ. 29).

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ათარიღებს XII ს-ით, 1177 წლამდე დროით.

გ ა მ ო ც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 24—25, № 2 (Bis), 298, № 23 (თ).
2. გ. ჩუბინაშვილი, 1957, ტაბ. 55.



† მე, ი(ოვა)ნე[1] ვარდა[ნი]ძემ(ა)ნ, ს[უანთა]| ერ(ი)ს თ(ა)ვ-მ[(ა)ნდა]| მეჰურ(რ)ჭლ|ეთაუხ(უ)ც(ე)ს(მა)ნ,| მოვჰედე ხ(ა)ტი ესე [წ(მიდ)-ისა][2]| გ(იორგ)ისი და დავასუ(ე)ნე[3] ,და მივანდ,ე თ(ა)ვ[ი ჩ(ე)ჲი][4]| ამით ხატითა ღ(მერ)თ[სა][5]| დიდისა სუანეთიხ[(ა)თჳს].

თ: 1 იოანე. 2 წმიდისა — 3 + [ეკლესიასა...]. 4 თავი ჩემი] თე[ოდორეს რაჲთა]. 5 + [ეევდროს].

22

[XII ს.]. რატის წარწერა

ხატი ღმრთისმშობლის; ჰედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 14,5× 10,5 სმ. ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმით, წელზევით; ჰედურობა დაზიანებულია; აგლეჯილია ზედა ჩარჩოს შუა ნაწილი; მის დასწვრივ ღვთისმშობლის სახე და იესუს სახე; გამოსახულების ორივე მხარეს მოთავსებულია დაწერტლვით შესრულებული ბერძნული განმარტებითი წარწერა.

რატის წარწერა; ასომთავრული; ორი სტრიქონი; ჩაჰედვით შესრულებული; წერტილოვანი; მოთავსებულია ხატის ქვედა ჩარჩოზე; უჭირავს ფართო-

ბი 1,5×2,5 სმ. ასოების სიმაღლე 0,8—1 სმ. სტრიქონები გაყოფილია განივი ხაზით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ჭარაგმის ნიშანი არ აბლავს.

ხატი 1980 წლამდე ინახებოდა სოფ. იელიას ჯვრევანის ეკლესიაში. ამ წელს ეკლესიის გაძარცვის შემდეგ ხატის ადგილსამყოფელი უცნობია.

გამოც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ: 228, № 2.

ᲥᲮᲓ ᲩᲨᲒᲣ : ᲘᲨᲐᲥᲡ : ᲨᲧᲥᲮᲣ : ᲒᲔ ᲨᲔ
ᲔᲮᲐᲣ : ᲨᲣᲔ : ᲩᲐᲨᲩ : ᲐᲩᲡ : ᲐᲣᲘᲐᲥ : ᲔᲨ

ყ(ოვ)ლ(ა)დ წმ(ი)დ(ა)ო ღმრთ(ი)სმშ(ო)ბ(ე)ლო და მ(ა)ც|ხ(ო)ვ(ა)რო, მ(ე)ოხ ექმ(ე)ნ რ(ა) ტ(ი)ს ძ(ი)თ(უ)რთ, ამ(ენ).

23

[XII ს.]. გამრეკელ მარუშიანი მამასახლისის წარწერა

ხატი მიქაელ მთავარანგელოზისა; აღწერილობა მოგვყავს ე. თაყაიშვილის გამოცემისა და დ. ერმაკოვის ფოტოსურათის მიხედვით; ჭედური; ვერცხლი; ზომა: 48 × 34 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია მიქაელ მთავარანგელოზი, მთელი ტანით, პირდაპირ; მარცხენა ხელში უჭირავს ლაბარუმი, რომლის ბოლოზე ასომთავრული წარწერაა:

ᲩᲮᲡ ᲬᲛᲘᲓ(ა) (ა)ᲠᲡ.

ნიმბის ორივე მხარეს მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი ასომთავრული, რელიეფური წარწერა:

ᲩᲘ ᲨᲯᲔ ᲬᲛᲘᲓ(ა)Ა ᲛᲘᲥᲐᲔᲚ.

გამოსახულებისაგან თავისუფალი ფონი პუნსონირებულია და შევსებულია ფოთლოვანი ორნამენტით. ხატის ჩარჩო დაფარულია რომბული ორნამენტით. ხატის ჭედურობა დაზიანებულია.

კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ცენტრალური ნაწილის ქვედა მარჯვენა კუთხეში, სადა ფონზე; ასომთავრული; ჩაქდეული; კიდურწერტილოვანი; 6 სტრიქონი; ჭარაგმის ნიშნები არ აბლავს; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ერთ ადგილას. ტექსტის დასასრულში ასოთა ზომა მცირდება (სურ. 30).

ხატი ეკუთვნოდა ს. ჩუკულის ეკლესიას; ამჟამად დაკარგულია.

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ხატს XV ს-ით ათარიღებს.
გამოც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 116, № 10. თ.



[წ(მიდა)ო[1] მ]თავ(ა)რანგ(ე)[ლო]|ზო, შ(ეიწყალ)ე მარ[უ]|შიანი გამ|რეკ-(ე)ლი, ა(მე)ნ;| მისსა[2] მ(ა)მ(ა)ს[ა]ხლ(ი)-ს[ობას]ა|[3] [შეიმკო ესე ხატი][4].

თ: L. [2] მისა. [3] მამასა. [4] შეიმკო ესე ხატი] შეუნდენეს ღმერთმან.

24

[XIII—XIV სს.]. ამირბერის წარწერა

საკურთხეველს წინამდებარე ჯვარი; ზომა: 170 × 118 სმ. ჯვრის წინა პირი დაფარულია ვერცხლის ჭედური ფირფიტებით წმინდანების გამოსახულებებით. ჯვრის შუა ადგილის მოჭედილობა აგლეჯილია.

ჯვრის ვერტიკალური მკლავის ქვედა მესამე ფირფიტაზე გამოსახულია წმ. კვირიკე; პირდაპირ, მთელი ტანით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა ხელი ფარზეა დაყრდნობილი; ნიმბის ორივე მხარეს გამოსახულების განმარტებითი, ასომთავრული წარწერაა.

ჩ˘ე ∽ ᲙᲮᲙ წ(მიდა)ჲ კვ(ირი)კე.

გამოსახულების ქვემოთ, ოთხკუთხა ჩარჩოში ზომით 5,5×11,5 სმ. მოთავსებულია ასომთავრული წარწერა; რელიეფური; 4 სტრიქონი; წარწერა შესრულებულია წერტილოვან ფონზე; ასოების სიმაღლე: 1—1,5 სმ. განკვეთილობის და ქარავმის ნიშნები არ ახლავს (სურ. 31).

ჯვარი ინახება უ შ გ უ ლ ი ს (ჩაჟაშის) მაცხოვრის ეკლესიაში.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: გ. ჩუბინაშვილი ჯვარს XII ს-ით ათარიღებს.

გ ა მ ო ც.: 1. Г. Чубинашвили, 1959, илл. 411.
2. უშგული, 1986, № 81.



წ(მ)ჲ(და)ო კვჲრ(ი)კე და წ(მ)ჲ(და)ო|ჲვლჲტე, შეჲვ(ე)დრე| სულჲთა ჲმ(ი)რბერ|ჲ, ჲმ(ე)ნ.

25

[XII—XIII ს.]. სასან ვარდანახძის წარწერა

ხატი წმ. ონოფრესი; ფერწერილი და ჭედური; მოოქრული ვერცხლი; ზომა: 13 × 9 სმ. წმინდანის სახე შესრულებული ყოფილა ფერწერით, რომელიც ამჟამად გადასულია. დარჩენილია ჭედური ფონი. გამოსახულების თავის ორივე მხარეს მოთავსებულია განმარტებითი, ასომთავრული წარწერა.

ჩ˘ე ∽ ᲐᲩᲤᲮᲘ წ(მიდა)ჲ ონ(ო)ფრე.

ხატის ზურგზე დაკრულ ვერცხლის ფირფიტაზე კტიტორის წარწერა ყოფილა შესრულებული; ასომთავრული; 8 სტრიქონი. დ. ბაქრაძის აღწერილობის დროს ხატი თავისი წარწერით იყო შენახული. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს:

„ზურგი ამ ხატისა წარწერით, მე ეკლესიაში ვერ ვნახე, მაგრამ შემდეგ ვიპოვე ერთ კერძო სახლში". ამჟამად ხატის ზურგის მოჭედილობა დაკარგულია. წარწერის ტექსტი მოგვყავს ე. თაყაიშვილისეული აღწერილობის მიხედვით.

ხატი ინახება ს. ქ ა შ ვ ე თ ი ს წმ. გიორგის ეკლესიაში. (ლენჯერის სასოფ. საბჭო).

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს XII—XIII ს-ით ათარიღებს.
გ ა მ ო ც.: 1. Д. Бакрадзе, 1864, გვ. 89.
2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 324, № 4.

† Ⴜ҃Ⴍ : ႭႬ
ႴႰႤ : ႫႤႭႾႣႠ
ႫႴႰႥႤႪႫႤႵႫႤႬ : Ⴜ҃Ⴄ
Ⴖ҃ႧႨႱႠ : ႫႭႱႠႤႱႠ : ႸႤႬ
ႱႠ : ႱႠႱႠႬႱႠ : ႥႠႰႣႬႠ
Ⴑ ႻႤႱႠ : ႣႠ : ႫႤႭႶႪႤႱႠ
ႹႤႫႱႠ ႾႠႧႭ
ႧႠႱႠ

† წ(მიდა)ო ონ(ო)|ფრე, მეოხ და| მფ(ა)რველ მექმენ წ(ინაშ)ე| ღ(მრ)თისა, ჳოსაესა შენ|სა, ს ა ს ა ნ ს ა ვ ა რ დ ნ ა|ს ძ ე ს ა და მეუღლესა| ჩემსა ხ ა-თ უ|თ ა ს ა.

26

[XII—XIII ს.]. ვამეყ ვარდანისძის წარწერა

ხატი იოვანე ნათლისმცემელისა; აღწერილობა მოგვყავს ე. თაყაიშვილისეული გამოცემის მიხედვით; ფერწერული; წმინდანის ნიმბი და ხატის ჩარჩო — მოოქრული ვერცხლისა. ზომა: 44 × 30 სმ.

კტიტორის წარწერა შესრულებულია სევადით; ასომთავრული; 2 სტრიქონი (სურ. 32).

ხატი ეკუთვნოდა ყ ი ბ ი ა ნ ი ს (უშგული) ღმრთისმშობლის („ლამარია") ეკლესიას. ამჟამად ხატის მოჭედილობის დაშლილი ფრაგმენტები ინახება ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიაში.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს წარწერით XII—XIII ს-ით ათარიღებს.
გ ა მ ო ც.; 1. П. Уварова, МАК, X, с. 34.
2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 139—140, № 11.
3. უშგული, 1986, № 110(12).

Ⴜ҃ႭႬႧႪႱႫႺႫႤႪႭႫႤႭႾႫႤႷႠႥႫႤႥႠႫႤႷႱႥႰႣႬ

წ(მიდა)ო ნ(ა)თლისმცემელო, მეოხ მეყავ მე, ვ ა მ ე ყ ს ვ (ა) რ დ (ა)ნ [ი ს ძ ე ს ა].

27

[XII—XIII სს.]. მაილელთა წარწერა

ჯვარი საკურთხევლის წინამდებარე; ზომა: 242 × 83 სმ. ჯვრის წინა პირი მთლიანად დაფარულია ვერცხლის ჭედური ფირფიტებით; ზედა მკლავზე წარმოდგენილია: მაცხოვარი მთელი ტანით, პირდაპირ, მაღლა გაწვდილი მაკურთხებელი მარჯვენით: მარცხენა ხელში გრაგნილი უჭირავს; ახლავს განმარტებითი ასომთავრული, რელიეფური, კიდურწერტილოვანი წარწერა:

Ⴈ҃Ⴓ ⁀ Ⴕ҃Ⴄ ი(ეს)უ ქ(რისტ)ე.

მაცხოვრის ქვემოთ — წმ. პავლე, მთელი ტანით, პირდაპირ, გრეხილი ორნამენტით გამოყვანილი თაღის ქვეშ, მკერდზე მიდებული მაკურთხებელი მარჯვენით და მარცხენა ხელში — წიგნით. ახლავს განმარტებითი ასომთავრული, რელიეფური, კიდურწერტილოვანი წარწერა:

ⴒ ∽ ⵛⵔⵒⵖⵏ წ(მიდა)ჲ პავლე.

ჯვრის ცენტრში გამოსახულია დისკო, რომლის მიმართ თაყვანისცემის პოზაში, მთელი ტანით, წარმოდგენილნი არიან: მარცხნივ მიქაელ და მარჯვნივ გაბრიელ მთავარანგელოზები; ახლავს განმარტებითი, ასომთავრული, ჩაქდევით შესრულებული წარწერები:

ⵗⵟⵊ ⵔⵍⵏⵊⵆ ⵍⵔⵔⵍⵊ ⵔⵍⵏⵊⵆ

მ(ი)ქ(აე)ლ ა(ნ)გელ(ო)ზ(ი). გაბ(რიე)ლ ა(ნ)გელ(ო)ზ(ი).

ჯვრის მკლავებზე (მარცხნიდან მარჯვნივ) გრეხილი ორნამენტით შესრულებული თაღების ქვეშ გამოსახულნი არიან წმინდანები (სულ ექვსი), წელზემოთ, მაკურთხებელი მარჯვენით და მკედრზე მიდებული გრაგნილით. ორ მათგანს — ბასილს და წმ. ლუკას მკერდთან წიგნი აქვს მიდებული; ყველა მათგანს ახლავს განმარტებითი, ასომთავრული, ჩაქდევით შესრულებული წარწერები:

ⴒ ∽ ⵙⵁⵗⵔ ⴒ ∽ ⵗⵔⵛⵖ ⴒ ∽ ⵍⵔⵆ

წ(მიდა)ჲ თომა; წ(მიდა)ჲ მათე; წ(მიდა)ჲ ბა(სი)ლ.

ⴒ ∽ ⵜⵁⵋⵅⵔ ⴒ ∽ ⵔⵆⵛⵔ ⴒ ∽ ⵆⵔⵆ

წ(მიდა)ჲ ლუკა; წ(მიდა)ჲ ა(ნ)დრ(ი)ა; წ(მიდა)ჲ და(ნიე)ლ.

ჯვრის ქ ვ ე დ ა მ კ ლ ა ვ ზ ე, შვეულად, ერთი-მეორის ქვემოთ, გამოსახულნი არიან წმ. მეომრები, მთელი ტანით, თაღების ქვეშ, მარჯვენა ხელში შუბით და მარცხენა ხელის ფარზე დაყრდნობით. თითოეულ მათგანს ახლავს განმარტებითი ასომთავრული წარწერები (წმ. გიორგის რელიეფური, ხოლო დანარჩენს — ჩაქდევით):

ⴒ ∽ ⵍⵆ წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი.

ⴒ ∽ ⵆⵔⵒ წ(მიდა)ჲ დ(ემე)ტ(რე).

ⴒ ∽ ⵛⵒ წ(მიდა)ჲ თ(ევდორ)ე.

ⴒ ∽ ⵗⵛⵐⵍⵊⵒ წ(მიდა)ჲ მერკილე.

ⴒ ∽ ⵔⵔⵗⵟⵊⵗⵔ წ(მიდა)ჲ პანტ(ე)ლ(ეი)მ(ო)ნ.

ⴒ ∽ ⵔⵛⵐⵁⵔⵔ წ(მიდა)ჲ პრ(ო)კოპი.

წმ. პროკოპის ფეხებთან, ორივე მხარეს, მოთავსებულია ჩაქდევით შესრულებული წარწერა; ასომთავრული; 3 სტრიქონი; ასოების სიმაღლე 0,5—1 სმ. (სურ. 33, 36).



წ(მ)ა(და)ო გ(იორგ)ი ს უ ფ ი ს (ა) ვ ო, შ(ეუნდ)ე ორთავე ცხ(ო)რებ(ას)ა ჟვ(ა)ნე ა თ ა რ ი ა ნ ს.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ი მ კ ლ ა ვ ი ს ქვემოთ მოთავსებულია ვრცელი წარწერა; ასომთავრული; რელიეფური; კიდურწერტილოვანი; 15 სტრიქონი; უჯირავს ფართობი: 29,5 × 8 სმ. სტრიქონები ერთმანეთისაგან გამოყოფილია რელიეფური, გრეხილი ორნამენტით. ასოების სიმაღლე: 1,5—2 სმ.; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი; ქარაგმის ნიშანი არ ახლავს (სურ. 33—35).

ჯვარი ინახება სოფ. ფ ა რ ი ს უ ფ ი ს წმ. გიორგის ეკლესიაში.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ჯვარს XVI—XVII ს-ით ათარიღებს; გ. ჩუბინაშვილი — არა უადრეს XII ს-ით.

გ ა მ ო ც.: 1. П. Уварова, МАК, X, с. 81, 185, табл. XXXII.
2. Д. Бакрадзе, 1864, с. 60.
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 421, № 3.
4. Г Чубинашвили, 1959, илл. 473—474. с. 525.



† ჲდ[1], მოწამეთ|ა შორის ღვ(ა)წლისა მძილევ(ს)[2]|, დიდო მთ(ა)ვარმოწამევო[3]|, წმიდავო[4] გ(იორგ)ი| სუფისავ[5], მეოხ| და მფარიველ[6]| ექმენ ორითავე[7]| შინა ცხორე|ბათ(ა) მაჰკობ|თა შენთა და მ(ა)დ|იდებ(ე)ლთა შე|ნთა ხევთ(ა)[8] მაილ|ელითა,[9] ამ(ე)ნ[10].

თ: 1 ჲ. 2. მძლევ(ო). 3 მთავარმოწამეო. 4 წმიდაო. 5 ცსუფისაე (sic). 6 მფარველო. 7 ორთაეე. 8 ხევთ. 9 მაილულთა. 10 ამინ.

28

[XII—XIII სს.]. ივანე ათარიანის წარწერა

ხატი წმ. გიორგისა; ჰედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა 150 × 85 სმ. ჩარჩოს ზომა: 13 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში, რომბული ორნამენტით დაფარულ ფონზე, წარმოდგენილია წმ. გიორგის გამოსახულება, მთელი ტანით, პირდაპირ, საომარი აღკაზმულობით, ქარქაშით, მარჯვენა ხელში შუბითა და მარცხენა ხელის ფარზე დაყრდნობით; წმინდანის მხრებს ზემოთ, ოთხკუთხა ჩარჩოებში, მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი ასომთავრული, რელიეფური წარწერა:

ჩ~ე ქ~ი სა(ფა)რ~ი წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი ს უ ფ ა ს ა ი.

ხატის ჩარჩო დაფარულია მდიდრულად ორნამენტირებული ჰედური ფირფიტებით, ვარდულების გამოსახულებებით. ზედა ჩარჩოზე წარმოდგენილია ვედრების კომპოზიცია; მარცხენა და მარჯვენა ჩარჩოს შუა ადგილას — წმ. დემეტრე და წმ. თეოდორე. ქვედა ჩარჩოს მოჭედილობა მოგლეჯილია და დაკარგული. დაზიანებულია ხატის ცენტრალური ნაწილი: ჰედურობა აცრეცილია წმინდანის მარცხენა მხართან და მუხლებს ქვემოთ.

კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ცენტრალური ნაწილის ქვედა მარჯვენა კიდეში, სადგარის მარჯვნივ. ასომთავრული: ჩაჭედვით; ორი სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 17 × 3 სმ. ასოების სიმაღლე: 1,5—1 სმ. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი (ადგილ-ადგილ) (სურ. 37).

ხატი ეკუთვნის ს. ფ ა რ ი ს ს უ ფ ი ს წმ. გიორგის ეკლესიას.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: პ. უვაროვა და ე. თაყაიშვილი ხატს ათარიღებენ XIV—XV ს-ით, ხოლო ჩარჩოს ჰედურობას უფრო ადრინდელად მიიჩნევენ.

გ ა მ ო ც.: 1. Д. Бакрадзе, 1864, გვ. 58.
2. П. Уварова, МАК, X, გვ. 110, ტაბ. XXXII, № 54,
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 422, № 4.

ჩQ : ქ~ი შQაჲ~ი~ქ~ი : Qა~ი~ნ~ი ნჲ~ი~Qა~ქ~ი~ნ~ი
ნ~ი~ა~ნ~ი~ნ~ი

წ(მიდა)ო გ(იორგი), მ(ე)ოხი ეყ(ა)ვ ორთავე ცხორ(ე)ბათ(ა) ი(ვ ა) ნ ე ა თ (ა) რ ი ა ნ ს ა, ა(მე)ნ.

29

[XII—XIII სს.]. გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის კტიტორთა წარწერა

ხატი გაბრიელ მთავარანგელოზისა; ჰედური; მოოქრული ვერცხლი; ზომა: 45,5×35 სმ.; მთავარანგელოზი წარმოდგენილია სრული ტანით, პირდაპირ, საიმპერატორო სამოსით; მარჯვენა ხელში სფერო უჭირავს, მარცხენაში — ლაბარუმი. გამოსახულების ორივე მხარეს, ჯვრის ფორმის სადა რელიეფურ ბალიშებზე, მოთავსებულია განმარტებითი ასომთავრული წარწერა (სურ. 38):

ჩ~ი ~ ქ~ი~ქ~ი წ(მიდა)ი გ(ა)ბ(რიე)ლ.

კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ქვედა ჩარჩოზე; ასომთავრული; 3 სტრიქონი; რელიეფური; კიდურწერტილოვანი; უჭირავს ფართობი: 19×5 სმ.; სტრიქონები ერთმანეთისაგან გამოყოფილია გრეხილი ორნამენტით; წარწერის ტექსტი მედალიონით გაყოფილია ორ ნაწილად. ჩარჩოს მარჯვენა მხარე ამჟამად ჩამოხეულია და წარწერის ტექსტის სტრიქონთა დასასრული ნაკლულია. ნაკლულ ტექსტს აღვადგენთ ე. თაყაიშვილისეული გამოცემის მიხედვით. ასოების სიმაღლე: 1—1,3; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი ხაზი. (სურ. 39).

ხატი წარმოადგენდა მესტიის თემის სოფ. ს ე ტ ი ს წმ. გიორგის ეკლესიის საკუთრებას. ამჟამად დაცულია სვანეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ მუზეუმში.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს XII—XIII ს-ით ათარიღებს.

გ ა მ ო ც.: 1. П. Уварова, МАК, X. с. 37.
2. Д. Бакрадзе. 1864, с. 97.
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 267; № 4 (თ.).
4. გ. ჩუბინაშვილი, 1957, ტაბ. 68.



†[1] წ(მიდა)ო გ(აბრიე)ლ, შ(ეიწყალ)ე შ(ე)ნსა ქ(ინაშ)ე| შე?ომ(ა)ვ(ალ)ნი.
მოიჭე|და ა ბ ა რ მ ა დ ო ბ ა ს ა ი||წ ა ს (ა) [ს ა[2], ნ[ა]ცულობასა[3] მ (ი) | ქ (ე) ლ ა ჭ უ რ ა [ს ა ს ა], ჯელითა ოქრო[ჭ](ედლი)[სა თ ა (ვ) დ (ი) დ (ი) ხ ძ ი ს ა][4].

თ: 1 † — . 2 + (ანუ იონასასა). 3 ნაცლობასა (=ნაცელობასა). 4 თადღის (ანუ თავდიდის) ძისა[თა].

30

[XII—XIII სს.] ჩხარაითუბნელთა წარწერა

ხატი წმ. გიორგისა; ჰედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 35,5×26,5 სმ. შემორჩენილია მხოლოდ ცენტრალური ნაწილის ერთი მთლიანი ფირფიტა. ზომა: 24,5 × 16 სმ. ჩარჩო მთლიანად შემოძარცვულია და მისი მხოლოდ მცირე ფრაგმენტია შერჩენილი ზედა ჩარჩოს მარჯვენა ნაწილში. ხატის ცენტრალური ნაწილის ქვედა ნახევარში წარმოდგენილია მარცხნივ მიმართული მხედარი წმ. გიორგი, რომელიც გველეშაპს გმირავს. ჰედურობა წმინდანის სახის არეში ამოგლეჯილია. თავის ზემოთ მოთავსებულია ჩაჭედეით შესრულებული ასომთავრული წარწერა (სურ. 40):

ჩ[ე]ბ ჩ[ე]ქ წ(მიდა)ი გ(იორგ)ი.

ცენტრალური ნაწილის ზედა ნახევარში წარმოდგენილია მარცხნივ მიქაელ და მარჯვნივ გაბრიელ მთავარანგელოზების გამოსახულება, მთელი ტანით, ერთმანეთის მიმართ პირისპირ, წელში მოხრით, ვედრების ნიშნად გაწვდილი ხელებით. ორივეს თავს ზემოთ მოთავსებულია ჩაჭდევით შესრულებული ასომთავრული წარწერები:

Ⴔ҃Ⴑ Ⴘ҃ⴟⴢ Ⴔ҃Ⴑ Ⴒ҃Ⴓⴢ წ(მიდა)ჲ მ(ი)ქ(ა)ელ. წ(მიდა)ჲ ვ(ა)ბ(რიე)ლ.

ჩხარაითუბნელთა წარწერა; ასომთავრული; ორი სტრიქონი; რელიეფური; მოთავსებულია ხატის ცენტრალურ ნაწილში, წმ. გიორგის გამოსახულების ქვემოთ და უჭირავს ფირფიტის მთელი სიგანე; ზომა: 16×3,3 სმ. ასოების სიმაღლე: 1,2—1,5 სმ. სტრიქონები ჩასმულია რელიეფურ ჩარჩოებში. წარწერის ფონი წერტილოვანია. განკვეთილობის ნიშანი: ორი წერტილი ყოველი სიტყვის ბოლოს; ქარაგმის ნიშანი: განივი, ოდნავ კლაკნილი, რელიეფური ხაზი (სურ. 41).

ხატი 1978 წლამდე ინახებოდა სოფ. იენაშის იონა წინასწარმეტყველის ეკლესიაში. ამ წელს ეკლესია გაიძარცვა. ხატის ადგილსამყოფელი უცნობია.

გამოც.: Г. Чубинашвили, 1959, с. 368 (ასომთავრული ტექსტი, რუს. თარგმანი) (ჩ).



† წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მთ(ა)ვ(ა)რმ(ო)წ(ა)მ(ე)ო, მფ(ა)რველ ე|ქმ(ე)ნ Ⴕრთ(ობი)ლთ ჩხ (ა) რ ა ჲ თ უ ბ ნ (ე) ლ თ ა!.

ჩ: I Ⴕრთობილთ ჩხარაჲთუბნელთა] Ч-рт-лт Чх-райтоб-н-лта.

31

[XII—XIII სს.]. საღირ საღირისძის წარწერა

ხატი; ჭედური; მოოქრული ვერცხლი; ზომა 52×37 სმ. ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილი ყოფილა მაცხოვარი ტახტზე, ხოლო მის ქვემოთ, მარცხნივ — კტიტორი საღირ საღირისძე ვედრების პოზაში. ხატი ძლიერ დაზიანებულა: მოჭედილობის გადაცრეცისა და მოგლეჯის გამო მაცხოვრის გამოსახულებიდან შემორჩენილია მხოლოდ ნიმბი (მარცხენა ნაწილი), მარჯვენა მხარი და ტახტის ზურგის მარცხენა ნაწილი. მთლიანად ამძვრალია და დაკარგული ზედა ჩარჩოს მოჭედილობა და ქვედა ჩარჩოს მოჭედილობის მარჯვენა ნაწილი. ფონის თავისუფალი ნაწილი შევსებულია ხვეული ფოთლოვანი ორნამენტით. ნიმბის დონეზე მოთავსებულია გრეხილ წრეებში ჩასმული განმარტებითი წარწერა შებრუნებული ასოებით:

† | ᲘᲣ ∩ ᲘᲒ ალბათ: „იესუ ქრისტე“

საღირ საღირისძე გამოსახულია მთელი ტანით, დაჩოქილი, მარცხნივ მობრუნებით, ხელების გაწვდით ვედრების პოზაში მაცხოვრისაკენ; სახე გამოსახულია პირდაპირ, ოდნავ მარცხნივ მობრუნებით; სახე დაფარული აქვს წვერით. თავზე ჰხურავს მაღალი ქუდი; ტანთ აცვია გულისპირთან ჩახსნილი გრძელი კაბა, რომლის აწიები მკერდზე და მაჯასთან რომბული ორნამენტითაა დაფარული. ე. ი. გამოსახულია საერო პირი.

კ ტ ი ტ ო რ უ ლ ი წ ა რ წ ე რ ა; ასომთავრული; რელიეფური; კიდურწერტილოვანი; 8 სტრიქონი; მოთავსებულია ხატის ცენტრალურ ნაწილში, ქვედა მარცხენა მხარეს, კტიტორის ზემოთ; უჭირავს ფართობი; 9,5×6,5 სმ. ასოების სიმაღლე 0.8—1,5 სმ. მოჭედილობის დაზიანების გამო ტექსტი უმნიშვნელოდ ნაკლულია. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: კლაკნილი ხაზი (სურ. 42).

ხატი ინახება ს. ლ ა ბ ს ყ ა ლ დ ი ს მთავარანგელოზთა ეკლესიაში.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს XI—XII ს-ით (გვ. 386) და XII ს-ით (გვ. 387) ათარიღებს.

გ ა მ ო ც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 386, № 3 (თ).



† წ̃მიდ(ა)ო მ̃(ა)ცხ(ო)|ვ(ა)რ(ო), მეოხ ეყ(ა)|ვ მ̃(ა)ს დღეს(ა)| გ(ა)ნკითხვის(ა)ს(ა),[1]| წ̃(ი)ნ(ა)შ̃(ე)[2] შ̃(ე)ნს(ა),[3]| ს (ა) ღ (ი) რ ს| ს (ა) ღ (ი) რ (ი)|ს ძ (ე ხ ა)[4].

თ: [1] განკითხვისას. [2]+ღმრთისა. [3] შენისა. [4] საღირი ძესა.

32

[XI ს.]. გიორგი სალირისძის წარწერა

ხატი წმ. გიორგისა, ფერწერული და ჭედური; მოოქრული ვერცხლი; ზომა 107×64 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში ფერწერით ყოფილა გამოსახული წმ. გიორგი, მთელი ტანით, პირდაპირ, მარჯვენა ხელში შუბით და მარცხენა ხელი — ფარზე დაყრდნობით. ამჟამად ფერწერა მთლიანად გადასულია. შერჩენილია ფონი — ვერცხლის ფი^იუიტები მასზე გრავირებული ფოთლოვანი ვარდულებით. წმინდანის თავის ორივე მხარეს დაკრულ ვერცხლის ფირფიტებზე მოთავსებულია ბერძნული განმარტებითი წარწერა, შესრულებული სევადით. ხატის ჩარჩო დაფარულია ლურსმული ორნამენტით.

კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ქვედა ჩარჩოს დაფერდებაზე; ასომთავრული; რელიეფური; კიდურწაისრული; ერთი სტრიქონი; უჯირავს ფართობი: 51 × 2 სმ. ასოების სიმაღლე: 1—1,5 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: განიეი, კიდურწაისრული, კლაკნილი ხაზი. (სურ. 43—45).

ხატი ინახება ფ ა რ ი ს ს ვ ი ფ ი ს წმ. გიორგის ეკლესიაში.

გ ა მ ო ც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 425, № 10.



†[1] წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შემწე ეყავნ გ(ი ო რ გ)ი ს ს ა ღ ი რ ი ს ძ ე ს ა ორთავე შინ(ა) ცხორებათა; ამ(ე)ნ[2].

თ: [1] † —. [2] ამინ.

33

[XIII ს.]. ქველი ლომინაისძის წარწერა

ხატი გარდამოხსნისა; ფერწერული და ჭედური; ზომა: 14,5 × 12 სმ. ფერწერა მთლიანად გადასულია; შერჩენილია ჭედური ფონი, რომლის ზედა ნაწილზე მოთავსებულია განმარტებითი ასომთავრული წარწერა.

ᲥᲔᲮᲐᲒᲐᲧᲡᲮᲩᲘᲚᲐᲡ გა(რ)დ(ა)მოჯსნა იესუს(ი).

ხატის ზურგზე დაკრულია ვერცხლის ჰედური ფირფიტა. ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია რვაწახნაგა ჯვარი, რომლის გარშემო მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, შემოსაზღვრული ჯერის სახედ გრეხილი ორნამენტით; კუთხეები შევსებულია ხვეული ფოთლოვანი ორნამენტით.

კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა შესრულებულია პუნსონირებულ ფონზე; ასომთავრული; რელიეფური; კიდურწერტილოვანი; 10 სტრიქონი; ასოების სიმაღლე: 1—0,8 სმ. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

ხატი ეკუთვნოდა მ უ რ ყ მ ე რ ი ს წმ. ბარბარეს ეკლესიას; ამჟამად ინახება ჩ ა ჟ ა შ ი ს მაცხოვრის ეკლესიაში.

გამოც.: 1. Д. Бакрадзе, 1864, გვ. 120.
2. П. Уворова, МАК X, 1904, გვ. 169, № 105.
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 173, № 17.
4. უშგული, 1986, № 22.



ქრისტე ღ(მერთ)ო,| მომი|ჴს(ე)ნე მჴსნ(ე)ლო, სასუფ(ე)ველ(ს)ა| შ(ე)ნსა მე, ლ|ო მ(ი)ნ ა(ი ს) ძე ქვ(ე)ლი დ(ა) მეუღლე| ჩემი რუსუდან, დ(ა) შვილ|ნი ჩ(უე)|ნი ვახტ(ან)გ| დ(ა) ძმ(ა)ნი| მის(ნ)ი, ამ(ე)ნ.

34

[XIII ს.]. წარწერები ჯვარზე

საკურთხევლისწინამდებარე ჯვარი; ჰედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 105×68 სმ. ჯვრის წინა პირზე დაკრულია ჰედური ფირფიტები; მათზე მედალიონებში, ან ოთხკუთხა ჩარჩოებში, წარმოდგენილია წმინდანთა გამოსახულებები ორნამენტულ ფონზე.

ჯვარი ეკუთვნოდა ს. მ უ რ ყ მ ე რ ი ს წმ. ბარბარეს ეკლესიას. ამჟამად ინახება ს. ჩ ა ჟ ა შ ი ს მაცხოვრის ეკლესიაში.

გამოც.: 1. Бакрадзе, 1864. с. 119.
2. П. Уварова, МАК, X, 1904, с. 89, 169. № 90.
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 169—170, № 2 (თ).
4. Г. Чубинашвили, 1959, илл. 439.
5. „უშგული“, 1986, № 80.

ა. ჯვრის ქვედა მკლავზე მხედარი წმ. გიორგის გამოსახულების ქვემოთ, პუნსონირებულ ფონზე, მოთავსებულია ასომთავრული წარწერა; სამი სტრიქონი; შესრულებული ჩაჭდევით; წარწერის ტექსტი შემოსაზღვრულია პარალელურ ხაზებს შორის ჩასმული წერტილებით, ასეთივე ორნამენტითაა გამოყოფილი ტექსტისაგან პირველი სტრიქონი; ასოების სიმაღლე: 1,4—0,5 სმ. ქარაგმის და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს.



წ(მიდა)ო ბ(ა)რბ(ა)ლა, შ(ეიწყალ)ენ| მ(ა)შენ(ე)ბ(ე)ლ(ი)[1] შ(ე)ნი ჯ(ე)ვ|ი უშ ქ-(უ) ლ ი ს ა[2], ამ(ე)ნ.

თ: 1. მაშენებელი] მომგონებელი. 2 ქეი 'უშქულისა] ყაფისომ ქალისა.

ბ. ჯვრის მარცხენა მკლავზე, წმ. ბარბარეს და ღვთისმშობლის გამოსახულებებს შორის, მოთავსებულია ასომთავრული წარწერა შესრულებული ჩაჭდევით; კიდურწერტილოვანი, 5 სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 5,5×3,2 სმ. ასოების სიმაღლე: 1-0,8-0,3 სმ.; ქარაგმის და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს.



დ(ე)დ(ა)ო ღ(მრ)|თ(ი)ს(ა)ო, დ(ა)-ი|ვე(დ)რე| გ(ი ო რ)გ(ი) დ(ა ვ ი)თ(უ)-ლ(ი) | ა ნ ი[1]; ამენ.

თ: 1 გიორგი დავითულიანი] გოგითაანი.

35

[XIII—XIV სს.]. წარწერები წმ. გიორგის ხატზე

ხატი წმ. გიორგისა; ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 84 × 57 სმ. ჩარჩო: 12 სმ; ცენტრალურ ნაწილში დაკრულია ორი ფირფიტა; ზედას ზომა: 43 × 32 სმ.; ქვედასი — 31,5 × 13 სმ. ზედა ფირფიტაზე წარმოდგენილია წმ. გიორგი, მთელი ტანით, პირდაპირ, საომარ ტანსაცმელში, მარჯვენა ხელში შუბით, მარცხენა — ფარზე დაყრდნობით. ახლავს განმარტებითი ასომთავრული, რელიეფური წარწერა. (სურ. 46):



წ(მიდა)ი გ(იორგ)ი სუფ(ი)საი.

გამოსახულებისაგან თავისუფალი ფონი პუნსონირებულია; წმიდანის ორივე მხარეს, ფონზე ვერტიკალურად დაუყვება რელიეფური ბურთულები

ჯვრის სახით. ფირფიტა შემოსაზღვრულია ორმაგი გრეხილი რელიეფური ხაზით; ხაზებს შორის — რელიეფური ბურთულების რიგით.

ქვედა ფირფიტაზე, რელიეფური გრეხილი ხაზებით შექმნილ მრგვალ მედალიონებში, წარმოდგენილია წელზევითი გამოსახულებანი: ცენტრში ღვთისმშობლისა ორანტის პოზაში, მარცხნივ წმ. პავლე (?) დაკეცილი წიგნით და მარჯვნივ — წმ. პეტრე გრაგნილით. ახლავს განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერები (სურ. 47):

ⴒ᾽Ⴁ ⵖ᾽ⵆⵂ ⵇ᾽ⵇⵁ ⵏ᾽Ⴁ ⴒ᾽Ⴁ ⵛ᾽ⵒⵚ

წ(მიდა)ჲ პავლე(?). დ(ე)დ(ა)ჲ ღ(მრთისა)ჲ, წ(მიდა)ჲ პ(ე)ტრ(ე).

ხატის ჩარჩო დაფარულია რომბული ორნამენტით. ზედა ჩარჩოზე წარმოდგენილია ვედრების კომპოზიცია: ცენტრში გამოსახულია ტახტი გამზადებული, მარცხენა კუთხეში ღვთისმშობელი ვედრების პოზაში, მარჯვნივ — წმ. იოვანე. ახლავს განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერები.

ⵇ᾽ ⵏ᾽Ⴁ ⴒ᾽Ⴁ ⵗⵃⵁ ⵇⵁ — დ(ე)დ(ა)ჲ ღ(მრთისა)ჲ. წ(მიდა)ჲ ი(ოვა)ნე.

გვერდითი ჩარჩოების შუა ადგილას, ოთხკუთხა მედალიონებში, წარმოდგენილია: მარცხნივ მიქაელ მთავარანგელოზი, მთელი ტანით, პირდაპირ, მარჯვენა ხელში ლაბარუმით და მარცხენაში ჯვრული სფეროთი; ახლავს განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერა:

ⴒ᾽Ⴁ ⵇ᾽ⵜⵐⵆ — წ(მიდა)ჲ მ(ი)ქ(ა)ელ.

მარჯვნივ გამოსახულია გაბრიელ მთავარანგელოზი, მთელი ტანით, პირდაპირ, მარჯვენა ხელში ჯვრული სფეროთი და მარცხენაში — ლაბარუმით. ნიმბის ორივე მხარეს განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერაა:

ⴒ᾽Ⴁ ⵆ᾽ⵚⵆ — წ(მიდა)ჲ გ(ა)ბ(რიე)ლ

ქვედა ჩარჩოზე, ოთხკუთხა მედალიონებში წარმოდგენილია წელზევითი გამოსახულებანი წმინდანებისა, რომელთაც ახლავთ განმარტებითი ასომთავრული წარწერები:

[ⴒ᾽Ⴁ] ⵔ᾽ⵃⵆ — წ(მიდა)ჲ ნ(ი)კ(ოლო)ზ,

ⴒ᾽Ⴁ ⵔⵇⵄⵛⵒ — წ(მიდა)ჲ ა(ნ)დრია და ⴒ᾽Ⴁ ⵚⵔⵛⵏ — წ(მიდა)ჲ ბას(ილ)ი.

ხატის ჩარჩოს დაფერდებაზე და კიდეზე დაუყვება გრეხილ რელიეფურ ხაზებში ერთ რიგად ჩასმული რელიეფური წრეები.

ხატი ინახება ს. ფ ა რ ი ს ს უ ფ ი ს წმ; გიორგის ეკლესიაში.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს XVI ს-ით ათარიღებს.

გ ა მ ო ც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 323—324, № 6 (მოპყავს ა და ბ წარწერები).

ხატის ცენტრალურ ნაწილში დაკრულ ქვედა ფირფიტაზე მოთავსებულია ორი წარწერა:

ა. ჰედური ფირფიტის ზედა, მარცხენა ნაწილში პუნსონირებულ ფონზე შესრულებული წარწერა; ასომთავრული; ჩაჭდეული; 1 სტრიქონი; ასოების

სიმაღლე: 1,2—1 სმ. ქარაგმის ნიშანი განივი ჩაშდეული ხაზი; განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს (სურ. 47, 48):

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე რ ა ტ რ ა ტ ი (ა) ნ ი, ა(მი)ნ.

ბ. ფირფიტის ქვედა ნაწილში, მთელ სიგრძეზე, პუნსონირებულ ფონზე მოთავსებული ასომთავრული წარწერა, შესრულებული წინა წარწერის ხელით; ტექსტი შუაზე გაყოფილია ღვთისმშობლის მედალიონით (სურ. 47, 49, 50):



წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, მ ა ე ო ხ(ი) და მფარველ ე ქ მ ე ნ მ ი ქ ა ე ლ ს რ უ ბ ა გ ი ა ნ ს ა.

გ. ხატის მარჯვენა ჩარჩოზე გამოსახულ გაბრიელ მთავარანგელოზის ფეხებთან მოთავსებული წარწერა; ასომთავრული; დაწერტვლით; 6 სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 7,5 × 5 სმ. ასოების სიმაღლე: 0,8—0,5 სმ.; ქარაგმის ნიშანი: განივი, წერტილებით შესრულებული კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ (სურ. 51):



წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, მე(ო)ხ და მფარველ მ ე ქ მ ე ნ ო ქ რ ო მ ჰ ე დ ე ლ ს ა თ ო მ ა ნ ი ა ნ ს ა წ(ინაშ)ე ქ(რისტ)ესა, ა(მე)ნ.

[XIII—XIV სს.]. წარწერები ჯვარზე

ჯვარი საკურთხეველისწინა; შემკული ვერცხლის ჭედური ფირფიტებით; ზომა: 99×47 სმ. ჯვარზე დაკრულია სხვადასხვა ხატისა და ჯვრის ჭედური ფირფიტების ფრაგმენტები. თავდაპირველი მოჭედილობა შერჩენილია: ქვედა მკლავზე, ცენტრში, ნაწილობრივ ზედა მკლავზე, განივი გვერდების კიდეებში და ერთი ფირფიტა მარცხენა მკლავზე.

ჯვარი ინახება ს. დ ო ლ შ ი, ზაქარია კვანჭიანის კოშკში.

გამოც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 382, № 2 (მოჰყავს ა და ბ წრწ).

ჯვრის ცენტრში დაკრულია ჭედური ფირფიტა რელიეფური სფეროს გამოსახულებით, რომელსაც გარშემო დაუყვებოდა ორმაგ გრეხილ წრეებში ჩასმული რელიეფური ბურთულები. ზედა მკლავზე გამოსახული ყოფილა წმ. თევდორე. ჭედურობა თითქმის მთლიანად ამძვრალია. ქვედა მკლავზე დაკრულია ორი ფირფიტა. ზედა ფირფიტაზე (ზომა: 27×9 სმ.) წარმოდგენილია წმ. დემეტრე, მთელი ტანით, პირდაპირ. ჭედურობა დაზიანებულია, შემორჩენილია გამოსახულების განმარტებითი, ასომთავრული, კიდურწერტილოვანი წარწერა:

[ᲩᲥ] ᲪᲨᲮᲘ [წ(მიდა)ი] დ(ე)მ(ეტ)რე.

ქვედა ფირფიტა (ზომა: 32,5×12 სმ.) გაყოფილია ორ ნაწილად: ზემოთ წარმოდგენილია წმ. გიორგი, მთელი ტანით, პირდაპირ, საომარ ტანსაცმელში; მარჯვენა ხელში შუბით და მარცხენა ხელის ფარზე დაყრდნობით. მხრების დონეზე მოთავსებულია განმარტებითი, ასომთავრული წარწერა:

ᲩᲘ ᲦᲘ ჴ(მიდა)ი გ(იორგ)ი.

გამოსახულებისაგან თავისუფალი ფონი შევსებულია რომბული ორნამენტით. ფირფიტის ქვედა ნაწილში (ზომა: 12×10 სმ.) მოთავსებულია ორი წარწერა:

ა. ი ვ ა ნ ე ფ ა თ ა ნ ი ს წარწერა; ასომთავრული; რელიეფური; 4 სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 9×6,5 სმ .ასოების სიმაღლე: 1,8—0,5 სმ; ჭარაგმის ნიშნები არ ახლავს; განკვეთილობის ნიშანი: ჩაშდეული ორწერტილი ადგილ-ადგილ:

ᲘᲮᲠᲗ : ᲤᲔᲪᲮᲠᲡ : ᲒᲔ
ᲧᲮᲣᲒᲨᲘᲜᲧᲘᲩᲙ
ᲜᲘ : ᲒᲪᲮᲮᲠᲗᲘ
ᲜᲐᲜᲒᲨᲘᲜᲒᲮᲡᲐ

ი ვ ა ნ ე ფ ა თ ა ნ ს (ი) და| შვ(ი) ლ(ი) მისი შეიწყ(ა)|ლე მთ(ა)ვ(ა)რანგ(ე)|-ლოზ(ო) მ ე ზ რ (ი) ს (ა) ო.

ბ. გ ი ო რ გ ი მ ი ქ ა ლ ო დ ი ა ნ ი ს წარწერა; ასომთავრული; ჩაშდეით; 8 სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 9×3,5 სმ. პირველი და მეორე სტრიქონი ერთმანეთისაგან გამოყოფილია 2 პარალელური ხაზით: ასოების სიმაღლე: 1—

0,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: განივი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ადგილ-ადგილ:

Ⴗ·ⴋⴘⵊⵎⵆⴓⵆⴑⵗⵎⵆ ⵎⵋⵊⵆⴘⴘⴑ
ⵏⵋⵊⵋⵎⵆⴘⵊⵎⵆⵊⵗⵎⵆⵊⵆⴘⵊⵆⴘⵊⵆ
ⵏⵆ

გ(იორგ)ი მიქალოდიანს(ს) და შვ(ი)ლ(ი) მი|სი შე(ი)წყ(ა)ლ(ე), მთ(ა)ვ(ა)რანგ(ე)ლ(ო)ზ(ო) მეზრ(ი)|ს(ა) ო.

ჯვრის მარცხენა მკლავზე დაკრულია ჰედური ფირფიტა (ზომა: 11,5×5) ასომთავრული წარწერებით:

[---] ⴖⴖⴀ : ⴑ
ⴖⴑⴀⵍⵎⵆ
ⴒ·ⴀ ⵅⵆⴑⵑⵅ
ⵎⴑⵀⵊ

[წ(მიდა)ჲ მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგ(ე)]ლ(ო)ზჲ მ(ე)ზრ(ი)ს(ა) ო; წ(მიდა)ჲ ბარბარე.

ამ წარწერისაგან ორი რელიეფური ბურთულით გამოყოფილია ოქრომჭედლის წარწერა; ასომთავრული; შესრულებული დაწერტვლით; 10 სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 5×2,8 სმ. ასოების სიმაღლე: 0,8—0,5 სმ. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი.

ⵊⴑⵊⵑⵆⵅ
ⵑⵆ : ⴒⵅⵎⴖ
ⵊⵆⵑⵒⵆⵀ
ⵎⴖⵊⵀ : ⵆⵜⵑ
ⵆⵑⵑⵊⵅⵊ
ⴖⵀⵎ : ⵇⵆⵎⴖ
ⵀⵊⵑⵖⵀⵊ
ⵊⵆⴖⵎⵅⵊ : ⵏⵆ
ⵑⵎⵀⵊⵖⵅⵎⵅ :
ⵎⵑⵀ

ღმერთო| ⴐოწყალ|ეო, შეუნ|დვენ ოქრო|მჭედე|ლსა ცოდვ(ა)|ნი მისნი| — იოვა(ნ)ეს თო|მანის ძესა,| ამ(ე)ნ.

37

[XIII—XIV სს.]. ივანე ოქრომჭედლის წარწერა

ხატი წმ. გიორგისა და წმ. თევდორესი; ჰედური; ვერცხლი; ზომა: 51×40 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია წმ. გიორგი და წმ. თევდორე, მთელი ტანით, პირდაპირ, საომარ ტანსაცმელში, მარჯვენა ხელში ვერტიკალურად ამართული შუბებით და მარცხენა ხელის სხვადასხვა ფორმის ფარზე დაყრდნობით. ნიმბების ორივე მხარეს გამოსახულებების განმარტებითი წარწერებია, ასომთავრული, რელიეფური (სურ. 52):

ⴒ·ⴑ ⵏ·ⴑ ⴒ·ⴑ ⵆ·ⵏ წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი; წ(მიდა)ჲ თ(ევდორ)ე

ხატის ჩარჩო (ზომა: 7 სმ.) დაფარულია რომბული ორნამენტით; ზედა ჩარჩოზე წარმოდგენილია ვედრების კომპოზიცია — მრგვალ მედალიონებში წელზევითი გამოსახულებანი ცენტრში მაცხოვრის, მარცხენა კუთხეში ღმრთისმშობლისა და მარჯვნივ იოვანე ნათლისმცემლის; გვერდით ჩარჩოებზე

ოთხკუთხა მედალიონებში მარცხნივ წმ. იოვანეა, მარჯვნივ — გაბრიელ მთავარანგელოზი; ქვედა ჩარჩოზე, მრგვალ მედალიონებში: წმ. ლუკა, წმ. დემეტრე და წმ. პეტრე.

ხატის ცენტრალურ ნაწილში, წმ. გიორგის და წმ. თევდორეს ფეხთფიცრებთან, ერთ რიგად დაუყვება რელიეფური წრეები, რომლის ქვემოთ მოთავსებულია წარწერა; ასომთავრული; დაწერტყლით; 1 სტრიქონი; უპირავს ფართობი: 12,5×1,5; ასოების სიმაღლე: 1,3—1—0,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: კლაკნილი ხაზი; განკეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ (სურ. 53).

ხატი ეკუთვნოდა იენაშიას იონა წინასწარმეტყველის ეკლესიას. 1980 წელს ეკლესია გაიძარცვა და ხატი დაიკარგა; 1984 წელს ხატი ამოღებულ იქნა კერძო კოლექციიდან და გადაეცა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს (მესტიაში).

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ხატს XVII ს-ით ათარიღებს.
გამოც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 343, № 6.

[illegible]

წ(მიდა)ო მაცხ(ო)ვ(ა)რო, შ(ეიწყალ)ე ი ვ (ა) ნ ე ო ქ რ (ო) მ ჳ (ე დ ე ლ) ი, ა(მე)ნ.

38

[XIII—XIV სს.]. მიქაელ თომანიანის წარწერა

ხატი მიქაელ მთავარანგელოზისა; ჰედური; ვერცხლი; ზომა: 55×47 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში, სადა ფონზე წარმოდგენილია მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულება; პირდაპირ; მთელი ტანით; მარჯვენა ხელში ლაბარუმით და მარცხენაში — სფეროთი. მთავარანგელოზის ფრთების ზემოთ რელიეფურ წრეებში მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი წარწერა; ასომთავრული; რელიეფური (სურ. 54):

ᲬᲘᲓ ᲛᲘᲥᲐᲔᲚ წ(მიდა)ი მ(ი)ქა(ე)ლ.

ხატის ცენტრალური ნაწილი შემოსაზღვრულია გრეხილ ხაზებში ერთ რიგად ჩასმული რელიეფური ბურთულებით. ჩარჩოს დაფერდებას დაუყვება რელიეფური წრეები. ჩარჩო დაფარულია რომბული ორნამენტით და მედალიონებში ჩასმული წმინდანთა გამოსახულებებით. ჩარჩოს კიდეზე დაუყვება ლობიოს მარცვლის ფორმის ორნამენტი.

მთავარანგელოზის ფეხებს ქვემოთ მოთავსებულია ასომთავრული წარწერა; რელიეფური; 2 სტრიქონი; უპირავს ფართობი: 22×3 სმ.; ასოების სი-

მაღლე: 1,8—1 სმ.; ქარაგმის ნიშანი: ბოლოებგაწყვილებული განივი, კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. (სურ. 55).

ხატი ეკუთვნის ლაფსყალდის მთავარანგელოზთა ეკლესიას.

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ხატს XVI ს-ით ათარიღებს. გ. ჩუბინაშვილი XIII ს-ით.

გამოც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 394, № 11.
2. Г. Чубинашвили, 1959, илл. 453.

წ(მიდა)ო მთ(ა)ვარ(ა)ნგ(ე)ლოზო, შ(ეიწყალ)ე მ(ი)ქ(ა)ელ თომა(ნი)ნი, ამ(ე)ნ.

39

[XIII—XIV სს.] მიქაელ თომანიანის წაწერა

ჩარდახი დაფარული ვერცხლის ჭედური ფირფიტებით. ამჟამად მთლიანად დაშლილი. ასევე დაშლილი ყოფილა, როდესაც აღწერა ე. თაყაიშვილმა. ჩარდახის მოჭედილობის ერთ-ერთ ფირფიტაზე მოთავსებული იყო მიქაელ თომანიანის წარწერა; ასომთავრული; რელიეფური; 2 სტრიქონად. წარწერიანი ფირფიტა ამჟამად დაკარგულია და აღწერილობა მოგვყავს გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოქვეყნებული ფოტოს მიხედვით.

ფირფიტაზე წარმოდგენილი იყო სამი რელიეფური გამოსახულება — მედალიონებში წმ. გიორგი და წმ. პეტრე, ხოლო მათ შორის მთავარანგელოზი შესაბამისად ახლავს განმარტებითი ასომთავრული რელიეფური წარწერები.

მიქაელ თომანიანის წარწერა მოთავსებული იყო მთავარანგელოზისა და წმ. პეტრეს გამოსახულებათა შორის.

გ. ჩუბინაშვილი მიქაელ თომანიანს მიიჩნევს ჩარდახის ხელოსან-ოქრომჭედლად, თუმცა ამის შესახებ წარწერის ტექსტში აღნიშნული არ არის.

ჩარდახი ეკუთვნოდა ფხოტარეთის მთავარანგელოზთა ეკლესიას.

გამოც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 409, № 3.
2. Г. Чубинашвили, 1959, илл. 434.



წ(მიდა)ო მთ(ა)ვარ(ა)ნგ(ე)ლოზო, შ(ეიწყალ)ე მ(ი)ქ(ა)ელ თომანი(ა)ნი, ამ(ე)ნ.

40

[XIII ს.]. ოთოღიანის წარწერა

ხატი მაცხოვრისა; ჰედური; ვერცხლი; ზომა: 31,5×26 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში (23×26 სმ.) წარმოდგენილია მაცხოვარი ტახტზე, მკერდთან მიდებული მაკურთხებელი მარჯვენით და მარცხენა ხელში დაკეცილი სახარებით, რომელსაც მარცხენა მუხლის თავზე იმაგრებს; ჯვრული ნიმბის ორივე მხარეს, ჯვრულ რელიეფურ ბალიშებზე მოთავსებულია ბერძნული განმარტებითი წარწერა: IC XC. ხატის ფონი პუნსონირებულია და შევსებულია რელიეფური, სიმეტრიულად განლაგებული ბურთულებითა და რგოლებით. ხატის ჩარჩო (სიგანე — 4,5 სმ.) დაფარულია რომბული ორნამენტით, შუა ადგილას, გრეხილი წრეებში ჩასმული სფეროებით, ხოლო კუთხეებში—სადა რელიეფური, რთული მოყვანილობის ფორმებით.

წარწერა მოთავსებულია ხატის ქვედა ჩარჩოს კიდეზე. გადადის მარჯვენა ჩარჩოს კიდეზე და გრძელდება მარცხენა ჩარჩოს კიდეზე. ქვედა ჩარჩოზე და მარჯვნივ წარწერა რელიეფურია, ერთ სტრიქონად, მარცხნივ — დაწერტელითაა შესრულებული და ორ სტრიქონად; ასომთავრული; უჭირავს ფართობი: 1.5×25 სმ. 1×4 სმ. და 1×4 სმ. ასოების სიმაღლე 0,7—1 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, ქარაგმის ნიშანი განივი სწორი ხაზი. ჰედური ფირფიტის აგლეჯის გამო წარწერის ტექსტი ნაკლულია — არ იკითხება კტიტორის სახელი. იგი უფრო სრული იყო, როდესაც აღწერა ე. თაყაიშვილმა, ჩვენ წარწერას დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული სურათის მიხედვით აღვადგენთ (სურ. 56).

ხატი ინახება ლ ა ბ ს ყ ა ლ დ ი ს მთავარანგელოზთა ეკლესიაში.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს XVI—XVII ს-ით ათარიღებს. გ. ჩუბინაშვილი — XIII ს-ით.

გ ა მ ო ც.: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 387, № 5.
2. Г. Чубинашвили, 1959, илл. 450.

+ მ(ა)ცხ(ოვა)რო, [შეუნდევენ ცოდვანი] ო თ ო ღ ი ა ნ ს ა. მე ღოჭედე (bis) გ(ი ო რ გ)ი ლ ი პ(ა)რ(ი)ტ(ი)ს ძ ე მ(ა)ნ ჩ(ე)მითა მუჰარ(ა)ბითა.

41

[XIII ს.]. ბერი გულბანის წარწერა

ხატი მიქაელ მთავარანგელოზისა; ჰედური; ვერცხლი; ზომა: 16,5×14 სმ.; ჩარჩოს ზომა: 2,5 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში, სადა ფონზე გამოსახულია მიქაელ მთავარანგელოზი; წელზევით; პირდაპირ; მარჯვენა ხელში შუბით და მარცხენაში სფეროთი. ნიმბის ორივე მხარეს მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერა:

ჩ ე შ ხ წ(მიდა)ა მ(ი)ქ(აე)ლ.

ხატის ზედა ჩარჩოზე მოთავსებულია ჩაქდევით შესრულებული წარწერა; ასომთავრული; 1 სტრიქონი; უპირავს ფართობი: 8—1.5 სმ. ასოების სიმაღლე: 0,9×0,5 სმ. განკვეთილობის და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს:

† ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲠᲬᲛᲔᲜᲔᲡᲐ

† მთავ(ა)რ(ა)ნგელ(ო)ზ(ი) მ ე ზ რ ა ს ა.

კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ქვედა ჩარჩოზე; ასომთავრული; ჩაქდევით; 2 სტრიქონი; უპირავს ფართობი: 8×1,5 სმ. ასოების სიმაღლე: 0,7—0.2 სმ.; ქარაგმის ნიშანი: განივი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ადგილ-ადგილ (სურ. 57).

ხატი ეკუთვნის ს. ნ ა კ ი ფ ა რ ი ს წმ. გიორგის ეკლესიას.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს XV—XVI ს-ით ათარიღებს.
გ ა მ ო ც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 239, № 6.



† წ(მიდა)ო მთავ(ა)რ(ა)ნგელ(ო)ზ(ო) მ ე ზ რ ა ს ა, შევ(უ)ნდვ(ე)ნ(ი)ლ | ბ ე რ ს ა გ უ ლ ბ ა ნ ს ა, ამ(ე)ნ.

42

[XIII ს. დასასრული]. იოვანე ჯაბიანის წარწერა

ჯვარი; მოჭედილი ვერცხლის ფირფიტებით; ზომა: 64×39,5 სმ. ჯვრის ცენტრში მოთავსებულია რელიეფური სფერო ბორჯღალის გამოსახულებით; განივ მკლავზე სფეროს ორივე მხარეს, ვედრების პოზაში, მრგვალ მედალიონებში, გამოსახულნი არიან ღმრთისმშობელი და წმ. იოვანე, — განმარტებითი, ასომთავრული წარწერებით:

Ⴆ-Ⴆ ⌒ Ⴈ-Ⴑ Ⴒ-Ⴢ ⌒ Ⴇ-Ⴗ

დ(ე)დ(ა) ღ(მრთის)ა; წ(მიდა)ჲ ი(ოვან)ე.

განივი მკლავის მარცხენა კიდეში გამოსახულია წმ. ლუკა, მრგვალ მედალიონში, ხელში დაკეცილი წიგნით; მარჯვენა კიდეში — წმ. პავლე, ასევე მრგვალ მედალიონში და ხელში დაკეცილი წიგნით. ორივე გამოსახულებას ახლავს განმარტებითი, ასომთავრული წარწერა:

Ⴒ-Ⴢ ⌒ Ⴖ-Ⴠ Ⴒ-Ⴢ ⌒ Ⴑ Ⴖ Ⴓ

წ(მიდა)ჲ ლუკა. წ(მიდა)ჲ პ(ავ)ლე.

ვერტიკალური მკლავის ზედა ნაწილში წარმოდგენილია მაცხოვრის გამოსახულება; წელზევით; მაკურთხებელი მარჯვენით და მარცხენა ხელში სახარებით; ახლავს ბერძნული განმარტებითი წარწერა. ვერტიკალური მკლავის

ქვედა ნაწილში გამოსახულია ღმრთისმშობელი; მთელი ტანით; ახლავს განმარტებითი, ასომთავრული წარწერა:

ⴆ-ⴆⴋ ∼ Ⴈ-ⴑⴏⴑⴑ დ(ე)დ(ა)ა ღ(მრთ)ისა.

ქვემოთ მოთავსებულია წმ. ანას წელზევითი გამოსახულება, ორანტას პოზაში; ახლავს განმარტებითი, ასომთავრული წარწერა:

Ⴒ-ⴋ ∼ ⴆ-ⴒⴆ წ(მიდ)ა ანა.

ქტიტორის წარწერა მოთავსებულია ჯვრის ვერტიკალური მკლავის ქვედა ნაწილში, წმ. ანას გამოსახულების ქვემოთ, ჩასმულია გრეხილ ჩარჩოში; ასომთავრული; რელიეფური; 6 სტრიქონი; უჭირავს ფართობი 7×7 სმ.; ასოების სიმაღლე 0,5—0,8—1 სმ. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი (რელიეფური), ორწერტილის (ჩაჭდეული); ქარაგმის ნიშანი; განივი, რელიეფური. სწორი ხაზი (სურ. 58).

ჯვარი ინახება ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიაში.

დათარიღება: რ. ყუნია ჯვარს წარწერით XI—XII ს-ით ათარიღებს.

გამოც.: 1. Д. Бакрадзе, 1864, გვ. 35.
2. П. Уварова, МАК, X, с. 35.
3. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 158, № 25.
4. რ. ყუნია, 1971, გვ. 45—52.



† ნასრეთისა ღ(მრთ)ისმ|შობელო, შ(ეეწი)ე ი (ოვან) ე| ჯაბ (ი) ან-ს და მ||ეულესა მის(ს)ა | თაბასა და ძეთ| მისთა, ა(მე)ნ.

[XIII ს.]. ბიბილის წარწერა

ხატი წმ. გიორგისა; ფერწერული და ჭედური; მოოქრული ვერცხლი; ზომა: 13×10 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ფერწერით შესრულებული წმ. გიორგის გამოსახულება; ფეხზე მდგომარე; პირდაპირ; ფერწერის დიდი ნაწილი გადასულია; მოჭედილობიდან დარჩენილია ხატის ზედა ნახევრის ფონი, წმინდანის ნიმბი და შუბი. ხატის გვერდით ჩარჩოები დაზიანებულია, ხოლო ქვედა ჩარჩო — მთლიანად მომძვრალია. წმინდანის ნიმბის ორივე მხარეს მოთავსებულია განმარტებითი წარწერა, ასომთავრული:

ⴃ-ⴑ ⵀ ⵛⵀ
ⵐⵎ ⵚⵜⵀ
ⵝⵇ წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი ზ ღ (უ) დ რ ი ს ა.

ხატის ზურგზე დაკრულია ვერცხლის ფირფიტა, რომელზედაც გამო‹ახულია ჯვარი. ჯვარი და მის გარშემო მოთავსებული წარწერა გრეხილი ორნამენტით არის შემოსაზღვრული. ხატის ზურგზე დაკრული ვერცხლის ფირფიტა შუა ადგილას აგლეჯილია, ამის გამო წარწერის ტექსტი უმნიშვნელოდ ნაკლულია.

ქ ტ ი ტ ო რ უ ლ ი წ ა რ წ ე რ ა; ასომთავრული; კიდურწერტილოვანი; 7 სტრიქონი; ასოების სიმაღლე: 0,8—1 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: განივი, კიდურწერტილოვანი ხაზი (სურ. 59).

ხატი ინახება სოფ. წ ვ ი რ მ ი ს მაცხოვრის ეკლესიაში.

გ ა მ ო ც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გე. 223, № 14 (თ).



†[1] წ(მიდა)ო გ(იორგ)ი| ზ ღ (უ) დ რ[ი ს (ა) ო], შეოხ და | მფარ[ვ]ელ ექმენ[2]| ღ/ღესა გ(ა)ნ|კითხ(ვი)[ს(ა)სა] წ(ინაშ)ე ღ(მრ)თ(ი)ს|ა აჯსე[...] ესე[3] ბ ი ბ ი ლ|ს[4]; ამ(ე)ნ[5].

თ: 1 † —. 2 მექმენ. 3 აჯსე [...] ესე] აჯა(ს ძე)სა. 4 ბიბილსა. 5 ამინ.

[XIII ს. II ნახ.]. მარუშიანის წარწერა

ხატი მაცხოვრისა; კარედი, რომლის მხოლოდ ცენტრალური ნაწილია შემორჩენილი — კარები ე. თაყაიშვილის აღწერილობის დროსაც (1910 წ.) დაკარგული ყოფილა; ფერწერული და ჰედური; მოოქრული ვერცხლი; ზომა: 10 × 8 სმ.

ხატზე წარმოდგენილია ფერწერით შესრულებული ქრისტეს წელზეითი გამოსახულება; ფერწერა ამჟამად გადასულია; შერჩენილია ჰედური ფონი და ჯვრული ნიმბი, ჰედურობაც დაზიანებულია და მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი.

კ ტ ი ტ ო რ ი ს წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ზურგზე დაკრულ ვერცხლის ფირფიტაზე, აქ გამოსახულ მომრგვალებულმკლავებიანი ჯვრის განივ და ქვედა მკლავებს შორის. ჯვრის გარეთ დარჩენილი ადგილი შევსებულია წერტილებით და ფოთლოვანი ორნამენტით; წარწერა შესრულებულია ვერტიკალურ პუნსონირებულ ფონზე; ასომთავრული; კიდურწერტილოვანი; რელიეფური; 5 სტრიქონი; უპირავს ფართობი: 6 × 8 სმ.; ასოების სიმაღლე: 0,7—1,5 სმ. განკვეთილობის ნიშანი ორწერტილი; ქარაგმის ნიშანი: ერთ ადგილას წერტილებისაგან შედგენილი კლაკნილი ხაზი (ასოები „რ“ და „ს“ ყველა შემთხვევაში შებრუნებულია) (სურ. 60).

ხატი თავდაპირველად ქ ი ბ ი ა ნ ი ს ლამარიას ეკლესიას ეკუთვნოდა. ამჟამად ინახება ჩ ა ქ ა შ ი ს მაცხოვრის ეკლესიაში.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს მარუშიანი არის მარუშიანი ეარდანის ძე, რომელსაც თამარ მეფემ უბოძა ჩუხჩერახობა. რომ ასეც არ იყოს, ხატი თაეის ხელობით მაინც მე-12 საუკუნეს ეკუთვნისო.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: 1. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 144, № 24.
2. უშგული, № 23. ტაბ. № 18.



წმ(ი)დაო[1] მ(ა)ცხ(ო)ვ(ა)რო, მ(ეო)ხ ექმ(ე)ნ მ(ა)რ(უ)შიანსა და ძესა მ(ისსა).

[1] წამდაო წრწ.

45

[XIII ს.]. საყორის ჯვრის წარწერა

ხატი წმ. გიორგის; ჰედური; ვერცხლი; ზომა: 36 × 26,5 სმ. ჩარჩოსი: 3 სმ.

ხატის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია წმ. გიორგის გამოსახულება მთელი ტანით, პირდაპირ, მარჯვენა ხელში შუბით და მარცხენა ხელის ფარზე დაყრდნობით. წმინდანს წელზე ხმალი ჰკიდია, ტანთ აცვია საომარი ტანსაცმელი. ნიმბის ორივე მხარეს, რელიეფურ მედალიონებზე მოთავსებულია განმარტებითი ასომთავრული წარწერა:

ⴒⵂ ⵖⵂ წ(მიდა)ი გ(იორ)გ(ი).

გამოსახულებისაგან თავისუფალი ადგილი ხვეული ფოთლოვანი ფონით არის შევსებული. ხატის გვერდითი და ზედა ჩარჩო, გარდა შუა ადგილებისა და კუთხეებისა, ერთრიგად განლაგებული ვარდულებით არის დაფარული. ზედა ჩარჩოზე ვარდულები განსხვავებულია.

ხატის ქვედა ჩარჩოზე მოთავსებულია წარწერა; ასომთავრული; რელიეფური; კიდურწერტილოვანი; 1 სტრიქონი; უჭირავს ფართობი 2 × 17,5 სმ ასოების სიმაღლე 1—1,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: განივი, კიდურწერტილოვანი ხაზი. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. (სურ. 61).

ხატი დაცულია კალის წმ. კვირიკეს ეკლესიაში („ლაგურკა").

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ხატს XVIII ს-ით ათარიღებს, ხოლო: „აშიები პალმეტებს სახით შემკობილი ლამაზია და ეკუთვნის კლასიკურ ხანას".

გამოც. 1. Д. Бакрадзе, 1864, გვ. 117.

2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 197, № 37.



† წ(მიდა)ო გ(იორ)გი გ(ო)რ(ი)ს(ა)ო, შეიწ(ყა)ლ(ე) ჴ(ე)ვი ს(ა)ყორ(ი)ს(ა).

46

[XIII ს.]. იოვანე ჰოგრისის-ძის წარწერა

იოვანე ნათლისმცემლის ხატი; ჰედური; ვერცხლის; ზომა: 44,5 × 35,5 სმ. ხატის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია იოვანე ნათლისმცემელი ვედრების პოზაში. გამოსახულების ორივე მხარეს მოთავსებულია განმარტებითი წარწერა; ასომთავრული; რელიეფური; სამ სტრიქონად:



წ(მიდა)ა ი(ოვა)ნ(ე)* ნათლისმცემელი ბ ე ლ ა ი ს ა.

ⴒⵂ: ე-ნ.

კტიტორის წარწერა მოთავსებულია ხატის ქვედა ჩარჩოზე; ერთ სტრიქონად, ასომთავრული; შესრულებული ჩაჭდეული წერტილებით; უჭირავს ფართობი: 1×24 სმ. ასოების სიმაღლე: 0,6—0,7 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორი და სამწერტილი; ქარაგმის ნიშანი: წერტილებით შესრულებული განიე, კლაკნილი ხაზი. ხატი ინახება ს. კ ა ლ ი ს წმ. კვირიკეს ეკლესიაში („ლაგურკა").

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს XV—XVI ს-ით ათარიღებს.
გ ა მ ო ც.: 1. Д. Бакрадзе, 1864. с. 116.
2. ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 192, № 15.

ჩ̄Ძ : ᲘᲮᲕ : ᲩᲮᲣᲮᲜᲘ : ᲛᲮᲨᲕᲜᲔᲫ : ᲧᲕᲣ
ᲡᲘᲨᲕ : ᲫᲮᲨᲫᲘᲠᲨᲜᲮᲨᲜᲮᲨᲮᲨᲨᲘ : ᲮᲨᲨᲩ

წ(მიდა)ო ი(ოვა)ნე ნათლისმც(ე)მელო, შ(ეიწყალ)ე ი(ოვან)ე[1] ჰ ო გ რ (ი)ხ ი (ს) ძ ე და მეუღ(ლ)ესა მისსა მ ა რ (ი ა) მ ს <შეუნდვენ>, ამ(ე)ნ.

1 წრფ. ე̄ნ.

47

[XIII ს.]. გიორგის და ნიკოლოზის წარწერა

ხატი წმ. გიორგისა; ჰედური; ვერცხლი; წინა პირი — ოქროში დაფერილი; ზომა: 8,5×7 სმ. ხატის წინა პირზე ფერწერით არის შესრულებული წმ. გიორგის გამოსახულება, რომელიც ამჟამად მთლიანად გადასულია. ფონი და ჩარჩო დაფარულია გრაფირებული ორნამენტით. გამოსახულებას ახლავს განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერა:

ჩ̄Ꭰ ⌒ Ꮆ̄Ꭰ წ(მიდა)ა გ(იორგ)ა.

კ ტ ი ტ ო რ თ ა წ ა რ წ ე რ ა მოთავსებულია ხატის ზურგზე, აქ გამოსახული „გოლგოთის ჯვრის" გარშემო. ასომთავრული; 6 სტრიქონი; კიდურწაისრული და კიდურყვავილოვანი; ასოების სიმაღლე 1—1,5 სმ.; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი (ადგილ-ადგილ); ქარაგმის ნიშანი: განიე, კიდურწაისრული ხაზი.

ხატი ინახება სოფ. მ უ ქ ა ლ ი ს მთავარანგელოზთა ეკლესიაში.

გ ა მ ო ც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 244, № 3.

† ჩ̄ᲫᲨᲩ : ᲩᲫᲮᲨᲩ
ᲩᲩᲫᲖᲘᲫᲨᲩᲛᲔᲫᲮ
ᲨᲛᲮᲮᲩᲩᲖᲨᲫᲩᲩᲧ
ᲩᲨᲫᲘᲮᲩᲖᲮ : ᲧᲩᲘ
ᲡᲮ : Ყ̄ᲨᲡᲫᲮᲘ
ᲧᲮᲫᲨᲮᲡ

† წ(მიდა)ო გ(იორგ)ი გ უ რ გ ე | ნ ე უ ლ (ი) ს (ა) ო, მეოხ და | მფ(ა)რველ გუეყ|(ა)ვ მოსავსა შენსა | გ (ი ო რ გ) ი ს და ნ (ი) | კ (ო) ლ ო ზ ს.

[XIII ს.]. რარესის ხევისა და ივანე ვედრანის წარწერა

ხატი მიქაელ მთავარანგელოზისა; ჰედური; ვერცხლი; მოოქრული; ამჟამად შემორჩენილია ხატის ცენტრალური ნაწილი ზომით 40×26 სმ. იგი დაკრულია ყოველმხრივ გამომწვარ ხის სარჩულზე. შემორჩენილია: ხატის ზედა ჩარჩოს მარჯვენა მხარე საკურთხეველისწინამდებარე ჯვრის მოჭედილობის ფრაგმენტებით, მარჯვენა ჩარჩოს ზედა ნაწილი და ქვედა ჩარჩო ჰედური ფირფიტებით.

მთავარანგელოზი გამოსახულია მთელი ტანით, პირდაპირ, მარჯვენა ხელში ლაბარუმით და მარცხენაში — სფეროთი. ნიმბის ორივე მხარეს, ჯვრული ფორმის ბალიშებზე, მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი წარწერა; ასომთავრული; რელიეფური; კიდურწერტილოვანი:

ϴϴϴ
ϩϩϤϪ ϴϮϮ მთავარანგელოძი(!) მ(ი)ქ(აე)ლ.
ϩϩ

მთავარანგელოზის ფრთების ორივე მხარეს მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, შესრულებული ჩაჭედვით; კიდურწერტილოვანი; მარცხენა მხარეს უჭირავს ფართობი: 13 × 4 სმ. (8 სტრიქონი), მარჯვნივ — 13.5×4 სმ. (10 სტრიქონი); ასოების სიმაღლე 2—1,5—1 სმ. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ (სურ. 62).

ხატი ეკუთვნოდა ნ ა ც უ ლ ი ს მთავარანგელოზთა ეკლესიას, სადაც ის აღწერა ე. თაყაიშვილმა 1910 წელს. დ. ერმაკოვის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე ხატის ჩარჩოების მოჭედილობა სრულად არის წარმოდგენილი, საიდანაც ჩანს, რომ იმთავითვე ჩარჩოები შემკული იყო სხვადასხვა ჰედური ფირფიტების ფრაგმენტებით. 1982 წელს, როდესაც ხატი აღწერა სვანეთის კომპლექსური შესწავლის ექსპედიციამ, ჰედური ფრაგმენტები მოცილებული იყო ხის სარჩულიდან და ცალკე ინახებოდა. 1985 წელს ეკლესია გაიძარცვა. ხატი დაიკარგა და მისი ადგილ-სამყოფელი უცნობია. გადარჩა ჩარჩოს მოჭედილობის რამდენიმე ფრაგმენტი.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა: ე. თაყაიშვილი ხატს XVI ს-ით ათარიღებს.
გ ა მ ო ც.: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 126, № 1 (თ).



ა. მარცხენა წარწერა:

+[1] ა ამესაჲ|გ(ა)ნ მ|ეტი. ნ(ა)|ჴ(ე)ვ(ა)რ|ი—რ(ა)რ (ე) ს (ი) ს (ა) ჴ (ე) ვ|იღ (ო) ბ ი|ს ა[2].

თ:[1] —, [2] ღვთისაჲ.

ბ. მარჯვენა წარწერა:

+ მთ(ა)|ვ(ა)რ(ა)|ნგ(ე)|ლ(ო)ძი,(!)|ზ(ეიწყალე)ე ვ ე|დ რ ა|ნ ჲ ი ვ (ა) ნ|ე სუ|ლ(ი)თა|, ამ(ენ).

[XIII ს.]. მარიამ ფულარიანის წარწერა

ხატი ვედრებისა, კარედი; ფერწერული და ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 42,5×31,5 სმ. ხატის კარედი გამოსახული წმინდანების მიხედვით იყოფა სამ რეგისტრად. ზედა რეგისტრში, ნახევართაღში, ფერწერით წარმოდგენილია მაცხოვარი, წელზევით, მაკურთხებელი მარჯვენით და მარცხენა ხელში დაკეცილი კოდექსით. გამოსახულების ნიმბი შესრულებულია სევადით, ფონი — ჭედური ფოთლოვანი ორნამენტით. შუა რეგისტრში წარმოდგენილია; ცენტრში ბუდე იოვანე ნათლისმცემლის ხატით (სურ. 63); ფერწერული და ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 17,5×11 სმ. იოვანე ნათლისმცემლის გამოსახულება შესრულებულია ფერწერით; იგი წარმოდგენილია მთელი ტანით, ვედრების პოზაში, მარცხნივ მიბრუნებით; ხელში უჭირავს გაშლილი გრაგნილი, რომელზედაც საღებავით შესრულებულია ბერძნული წარწერა. ფერწერისაგან თავისუფალი ადგილი შევსებულია ჭედური ხვეული ფოთლოვანი ორნამენტით; ნიმბი დაფარულია სევადით. გამოსახულების ორივე მხარეს მოთავსებულია განმარტებითი ბერძნული წარწერა; მარცხენა მხარეს წარმოდგენილია ღვთისმშობელი; ფერწერული: მთელი ტანით, ვედრების პოზაში. ახლავს განმარტებითი ბერძნული წარწერა. მარჯვენა მხარეს წარმოდგენილია იოვანე მახარებელი; ფერწერული; კიდურწერტილოვანი, ასომთავრული განმარტებითი წარწერა, ვერცხლის აგლეჯის გამო ნაკლულია:

ΘΕΟ
ΛΟΓ [ი(ოვან)ე] მ(ა)ხარ(ე)ბელ(ი).
ΥΝΣ

ქვედა რეგისტრში წარმოდგენილია წმ. დედები, ფერწერით, მხრების ზემოთ; გამოსახულებები ჩასმულია ჭედური ფირფიტის ჩარჩოში; ახლავს განმარტებითი წარწერები, რელიეფური, კიდურწერტილოვანი:

ჩᲨ ᲗᲐᲠᲘ ჩᲨ ᲧᲚᲐᲠᲘ ჩᲨ ᲣᲮᲔᲘᲠᲘ

წ(მიდა)ჲ ირ(ი)ნა, წ(მიდა)ჲ ბ(არ)ბ(ა)რა, წ(მიდა)ჲ ეკ(ა)ტ(ე)რ(ი)ნა.

იოვანე ნათლისმცემლის ხატის ზურგზე დაკრულია ვერცხლის ფირფიტა, რომლის კუთხეები შევსებულია ხვეული ფოთლოვანი ორნამენტით; ჯვრული ფორმის არეში მოთავსებულია წარწერა; ასომთავრული; რელიეფური; კიდურწერტილოვანი; 8 სტრიქონი; უჭირავს ფართობი: 10,5×10,5; ასოების სიმაღლე: 1.5—1 სმ. ქარაგმის ნიშანი: რელიეფური, კიდურწერტილოვანი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ (სურ. 64).

ხატი ეკუთვნის ლაბსყალდის მთავარანგელოზთა ეკლესიას.

დათარიღება: ე. თაყაიშვილი ხატს XIV—XV ს-ით ათარიღებს.

გამოც.: 1. Д. Бакрадзе, 1864, გვ. 71.

2. ე. თაყაიშვილი, 1937; გვ. 395, № 15. (ო).



† წ(მიდა)ო ი(ოვა)ნე[1] ნათლ|ისმცემ(ე)ლო, შეწ(ი)რე მ|ცირედი ესე მკობაი ჩემ, | ფ უ ლ ა რ ი ა ნ ი ს ა[2] ც ო ლ ი ს ა | მ ა რ ი ა მ ი ს (ა) გ ა ნ და ჩემ|ისა შვილ(ი)სა ჩ ა რ გ ა ზ ი ს|გ ა ნ[3], და მეოხ[4] გუექმენ.

თ: 1 იოანე. 2 ფოლარიანისა. 3 ჩარგალისგან. 4 მეუხ.

50

[XIII ს.]. გრიგოლ კოპასძის წარწერა

დროშის თავი; ჭედური; ვერცხლი; მოოქრული; ზომა: 23 × 12 სმ. შუბის პირის ფორმისა, რომლის ორივე მხარე შუაზე გაყოფილია ტარზე ჩამოსაცმელი ღეროთი. მოოქრული ვერცხლის ჭედური ფირფიტებით იყო დაფარული დროშის ტარიც; ამჟამად ეს მოჭედილობა დაკარგულია.

დროშის თავი დროშითურთ ინახებოდა ს ე ტ ი ს წმ. გიორგის ეკლესიაში; ამჟამად დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (მესტიაში).

გ ა მ ო ც.: 1: ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 272—275, № 12 (თ).
2. ს. ბარნაველი, 1953, გვ. 27—32.
3. გ. ჩუბინაშვილი, 1957, გვ. 26, ტაბ. 147.

დროშის თავის ერთ მხარეს წარმოდგენილია მარცხნივ წმ. იოანე წინასწარმეტყველი მთელი ტანით, პირდაპირ, ვედრების ნიშნად მარცხნივ გაწვდილი ხელებით, გრძელ კაბასა და მოსასხამში. ნიმბის ზემოთ მოთავსებულია განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური, კიდურწაისრული წარწერა (სურ. 65):

წ(მიდა)ჲ იონა ლ (ა) ტ რ ი ს ა(ს).

მარჯვნივ — გამოსახულია წმ. გიორგი, მთელი ტანით, პირდაპირ, საომარ ტანსაცმელში, წელზე ხმლით, მარჯვენა ხელში შუბით და მარცხენა ხელის ფარზე დაყრდნობით: ნიმბის ზემოთ შესრულებულია განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური, კიდურწაისრული წარწერა:

წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი ს ე ტ ი ს ა.

დროშის თავის მეორე მხარეს, მარჯვნივ, გამოსახულია მთავარანგელოზი, მთელი ტანით, პირდაპირ, საომარ ტანსაცმელში, მარჯვენა ხელში ამოწვდილი ხმლით და მარცხენაში ჭარქაშით; დგას რომბული ორნამენტით შემკულ ფეხთფიცარზე, ნიმბის ზემოთ მოთავსებულია განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური, კიდურწაისრული წარწერა (სურ. 66):



მთავარანგელოზი უ ღ რ ი ს ა.

დროშისთავის ამ მხარეს მარცხნივ, მოთავსებულია კტიტორული წარწერა; 19 სტრიქონი; ასომთავრული; კიდურწერტილოვანი და ადგილ-ადგილ კიდურწაისრული; ცალკეული ასოები ხვეული და შეწიაღებული; ასოების სიმაღლე: 0,8—1 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: განივი, სწორი ხაზი (სურ. 66).



†|უბე|დნიე|რ(ე)ნ ღ(მერ)თ|მ(ა)ნ ერთ-
ო|ბილსა ჴ|ევსა ბე|დნიერსა| ს უ (ა) ნ (ე)-
თ ი ს ა ს ა| ლომი და დრ|ოშისთავი| დროში-
თურ|თ ჩემ, დიდისა| მონ(ა)სტრ(ი)სა| წ(ი)ნ(ა-
მძღუ)რ(ი)სა გ (რ ი) გ (ო) ლ| კ ო პ (ა) ს ძ (ი) -
ს ა|გ ა ნ მოჴ|სენენ|ბული(!).

51

[XIII—XIV ს.]. სოფელ ლაილის წარწერა

ხატი მიქაელ მთავარანგელოზისა; ჰედური; მოოქრული ვერცხლი; ზომა: 31,5 × 23 სმ.; ხატის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია მიქაელ მთავარანგელოზი; მთელი ტანით; პირდაპირ; მარჯვენა ხელში ამართული ხმლით, ხოლო მარცხენა ხელით ეყრდნობა ქარქაშს და ფარს. წმინდანის ნიმბის გარშემო ჩასმულია 7 ძვირფასი ქვა. სამი ძვირფასი ქვა ჩასმული ყოფილა მთავარანგელოზის ფეხების გასწვრივ, ჰორიზონტალურად; ამათგან მხოლოდ ერთის ბუდეა დარჩენილი. 3 ძვირფასი ქვის ბუდიდან მხოლოდ ორია შერჩენილი. ხატის ზედა ნაწილის ცენტრში. ხატის სხვადასხვა ადგილას კიდევ 3 ძვირფასი თვალია შერჩენილი; ძვირფასი თვლებია ჩასმული ხატის ჩარჩოს ოთხივე კუთხეში, რომელთაგან ერთზე ჯვარია გამოსახული, მეორეზე — არაბული წარწერა.

ხატის ცენტრალური ნაწილი ძლიერ დაზიანებულია. ამძვრალია ვერცხლის ფირფიტები, მაგრამ შერჩენილია ჰედურობის სარჩული — ცვილი, რომელზედაც ასახულია ჰედურობის ყველა დეტალი.

მთავარანგელოზის ფრთებისა და ნიმბის გარშემო მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი, ასომთავრული, რელიეფური წარწერა:



